# 30 ივლისს შეკვეთილის საკონცერტო დარბაზი „BLACK SEA ARENA“ გაიხსნება

# საერთო გაზეთი

№27/3 (383) • 29 ივლისი, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება



## გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გურიას მნიშვნელოვანი ფუნქცია დავუბრუნოთ



## გურამ პეტრიაშვილი: „ნაცმოძრაობაზე“ ლაპარაკი აღარ მინდა, მაგრამ „ნაცებმა“ თუ გაიმარჯვეს, ეს ნიშნავს, რომ საქართველო აღარ იარსებებს...

„პრეზიდენტი თამაშობს, პრეზიდენტი ცდილობს, რომ მთავრობაში განხეთქილება შეიტანოს... პრეზიდენტი ემზადება რევოლუციისთვის“



## ჩვენი დაუცველი პრეზიდენტი

## სომხური ნაციონალიზმი და „ჯავახური“ სეპარატიზმი



## ნიკა გვარამია, სხვებს რომ ეძახი მეწვრილმანეს, შენ ხომ ხარ მემსხვილმანე... ჰოდა, მშვიდობაში მოიხმარე ეგ მსხვილიც და მაგაზე მსხვილიც...

## სიკვდილის ეს პირამიდა უნდა დაინგრეს!



„ღმერთმა ყველა დაიფაროს და სანამ რომელიმე პროკურორს ან პარლამენტარს არ გარდაეცვლება შვილი, მანამდე ყური არ უნდა შევიბერტყოთ?“

# გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მნიშვნელოვანი ფუნქცია დავუბრუნოთ გურიას

გურიას ისეთი სიმდიდრე აქვს, რომლითაც ბევრი დიდი ქვეყანაც კი ვერ დაიკვეხნის; ამ პატარა და ულამაზეს მიწაზე მთის კურორტებიც არის და ზღვისაც, რაც ჩვენ მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ, - ამ სიტყვებით მიმართა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ოზურგეთში შეკრებილ მოსახლეობას.

გიორგი კვირიკაშვილმა პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.

„ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველო“-ს ოზურგეთში არჩილ თალაკვაძე, ხოლო ჩოხატაურისა და ლანჩხუთის გაერთიანებულ საარჩევნო ოლქში თემურ ჭკუასელი წარმოადგენს.

„არჩილ თალაკვაძე გუნდის ერთ-ერთი ახალი სახეა. ამჟამად იგი გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. არჩილი არის მოტივირებული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავისი ნიჭით და განათლებით უკვე მიაღწია წარმატებებს. ის აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას ქართულ პოლიტიკაში და ოზურგეთელები მისით იამაყებენ. თემურ ჭკუასელი პარლამენტის წევრია. ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანია. დარწმუნებული ვარ, ჩოხატაურელები და ლანჩხუთელები გამოუცხადებთ ნდობას და მხარს დაუჭერთ მის კანდიდატურას“, – განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას გურიის პოტენციალზე ისაუბრა და ჩაის წარმოების განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც არა მარტო გურიის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შვეიცარიელებთან და ავსტრიელებთან ერთად კომპანია „წყალი მარგებელი“ აშენებს 30 მილიონი ევროს ღირებულების ქარხანას, რომელიც უკვე თითქმის დასრულებულია. „ნაბეღლავის“ და „ბახმაროს“ გარდა საწარმოში სხვადასხვა უალკოჰოლო სასმელი ჩამოისხმება. ქარხანა ჩამოასხამს ასევე ცნობილ უცხოურ სასმელებს, რომლებიც ექსპორტზე გავა საზღვარგარეთ. ცხადია, ქარხნის ამუშავებას მოჰყვება ხალხის დასაქმება და კიდევ მეტი შემოსავალი“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა. მთავრობის მეთაურმა „Black sea aren“-ას გახსნისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა.

„ცოტა ხნის წინ შეკვეთილში უნიკალური საკონცერტო დარბაზი გაიხსნა, რომლის მშენებლობაც 200 მილიონზე მეტი დაჯდა. შეკვეთილში ასეთი დარბაზის აშენება ბიძინა ივანიშვილის იდეა გახლდათ. გურიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განახორციელა მართლაც ეს გრანდიოზული პროექტი. ეს პროექტი სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა, მაგრამ, პირველ რიგში, ეს არის საჩუქარი გურიისა და გურულებისათვის. ასეთი მასშტაბური ობიექტების არსებობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, მოიზიდავს ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს და, რაც მთავარია, გურია შეძლებს ტურიზმით მიღებული შემოსავლით ისარგებლოს“, – განაცხადა პრემიერმა.





თემურ ჭკუასელი



არჩილ თალაკვაძე

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, გურიაში სტუმრობას ყოველთვის განსაკუთრებული და გაორმაგებული პასუხისმგებლობა ახლავს, ვინაიდან ამ რეგიონში გამორჩეული ხალხია.

„ცნობილია თქვენი ინტერესი პოლიტიკის მიმართ, სილაღე, იუმორი და, რაც მთავარია, კრიტიკული ანალიზის უნარი, რომელიც არასოდეს გღალატობთ. სწორედ ამიტომ, ლოგიკურია, რომ ასეთმა ხალხმა ოთხი წლის წინ მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ – იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც შეძლო ქვეყანაში არსებული ვითარება შეეცვალა, მოეხდინა მნიშვნელოვანი გარდატეხა. როგორც ყოველთვის, არც შემცდარხართ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ახლაც აუცილებლად ერთად გავიმარჯვებთ“, – აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ.

მთავრობის მეთაურმა ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მთელი საქართველოს ინტერნეტიზაცია იწყება. „მართალია, გურულებმა ისედაც კარგად იცით, რა ხდება ქვეყანაზე, მაგრამ ინტერნეტი რომ შემოვა ყველა ოჯახში, კიდევ უკეთ გეცოდინებათ მსოფლიოს ამბები. ხუმრობა იქით იყოს, და ეს მართლაც ძალიან დიდი საქმეა, დიდი ხელშეწყობაა ჩვენი ხალხისთვის“, – განაცხადა პრემიერმა.



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.





# „პრეზიდენტი თამაშობს, პრეზიდენტი ცდილობს, რომ მთავრობაში განხეთქილება შეიტანოს... პრეზიდენტი ემზადება რევოლუციისთვის“

არჩევნები მოახლოვდა და საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გაახშირა ბრიფინგები თუ ინტერვიუები... პრინციპში,. გაახშირა რა, დაიწყო... ნაციონალური მოძრაობის წევრებთან დახურული შეხვედრებისა და ფარული მოლაპარაკების შემდგომ, პრეზიდენტმა აღმოაჩინა, რომ ავიწროებენ... განაცხადა, რომ მმართველ პოლიტიკურ ძალას არაფორმალური კავშირები აქვს სამართალდამცველებთან... ოღონდ, ეს ისეთი გაბადრული სახით გვამცნო, რომ მე, უბრალო მოქალაქეს მის არაადეკვატურობაში შემეპარა ეჭვი, ხოლო მანანა კობახიძეს კი, რომელიც, ალბათ, პრეზიდენტის ჩვევებს ჩემზე უკეთ იცნობს, მის ფხიზელ მდგომარეობაში.

პრეზიდენტის და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უცნაურ განცხადებებზე ბევრი კომენტარი გაკეთდა პოლიტიკოსების მიერ.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.



**ნუკრი ქანთარია:** სამწუხაროა და დასაფიქრებელია, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გამოდის და ძალიან ბუნდოვნად, ძალიან ზოგადად ამბობს, რომ მის მოსამართლეებზე არის ზეწოლა, თუმცა, არ ამბობს რა სახის ზეწოლაზეა საუბარი...

პაპუაშვილი ხვდება მარგველაშვილს, და როცა მეგონა, რომ პრეზიდენტი იტყოდა, კანონი ყველასთვის ერთია და აი, ჩემი ოჯახის წევრიც გააჩერეს და გაჩხრიკეს და შემდეგ გამოუშვესო... პირიქით მოხდა... პრეზიდენტმა თქვა, რას ამბობ, კაცო, შენ კი არა, აგერ ჩემი ოჯახის წვერზე ხდება ზეწოლაო.. რას გავს ახლა ეს.. მიჩნდება ეჭვი, რომ ქვეყანაში ბადე იქსოვება და არ ვიცი როგორ, ნებით თუ უნებლიედ, მაგრამ პრეზიდენტიც ამ ქსოვაში იღებს მონაწილეობას... არჩევნებია წინ და დარწმუნებული ვარ, რომ „ქარტული ოცნება“ მოვა უმრავლესობით და ეს სიგნალია, რომ ამ ძალების მიერ, არჩევნების ლეგიტიმაცია დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ... არ ვიცით, ზუსტად რომლები გამოვლენ ამ განცხადებებით, მაგრამ ვიცით სკაონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დამოკიდებულება წინა ხელისუფლებასთან და მისი ვალები, ალბათ, და სურთ საფუძველი გარკვეული არეულობის ინსცენირებას.. მაგრამ, ერთი რამ ავიწყდებათ, გაცილებით ძლიერი ახლა ხელისუფლება და ძლიერი ქართველი ხალხი. ვინ აყვება ამას, როგორ აყვება, ეს უკვე მათ პასუხისმგებლობაზე, ღირსებაზე და ზნეობაზეა დამოკიდებული, იმ პოლიტიკური ძალების, რომლებიც წვრილწვრილად არიან და ჩამოეკიდებიან ამ პროვოკაციას და ჩამოკიდებულები არიან უკვე.... სახიფათო რკალის შექმნა უნდათ, ზოგი ამაში ბუნებრივ მონაწილეობას მიიღებს, ზოგი პირდაპირ პროცესში იქნება ჩართული და ვიცით საიდან იმართება ეს - უკრაინიდან, ოდესიდან...

**მალხაზ გულაშვილი:** ეს ყველაფერი დაგეგმილია ოდესაში და მარგველაშვილი ამ ყველაფრის შემსრულებელია. მოდი. ყველაფერს მისი სახელი დავარქვათ, მან არჩია რომ ის ძალა, რომელმაც ხელისუფლებაში მოიყვანა გადააგდ, და გადაწყვიტა, რომ ნაცების თამაში ითამაშოს. პაპუაშვილი განცხადებას აკეთებს, ზუსტად იგივე განცხადებას მარგველაშვილი ამაგრებს, ყველამ იცის, რომ პაპუაშვილი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტია.. სამწუხაროდ, მარგველაშვილიც ჩაერთო ამ თამაშში, და განცხადება რომ თითქოს მისი ოჯახის წევრი იყო დაკავებული და ზეწოლა მოხდა ამით მასზე. ეს ის ადამიანია, რომელიც რამდენჯერმე იყო ნასამართლევი, როგორც ინფორმაცია გავრცელდა. ეს მე მგონი, ცოტა არ იყოს უკვე დაცინვაა საპრეზიდენტო ინსტიტუტისაც და ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობისაც.

პაპუაშვილი საკუნსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეა, დოკუმენტაცია შექმნა, იურისტია, მემწვანილეს არ დანიშნავდნენ ნაციონალები... მიემართა პროკურატურისათვის... საქმე უნდა აღძრულიყო, დამონტაჟებულიყო მოსასმენი აპარატურა და თუ ეს ფაქტი დადასტურდებოდა, მაშინ, რათქმაუნდა, ამას მოყვებოდა რეაგირება... თუ ეს არ იცის საკონსტიტუციო სასმართლოს თავმჯდომარემ, მაშინ ვაი ჩვენ... მე მაინტერესებს, რა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს პრეზიდენტის გერის შეყვარებული, რომ ის გაჩხრიკეს და ამაზე ამხელა ამბავი ააგეს...



**სანდრო ბრეგაძე:** პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაონის რიტორიკა ეს არ არის კაკაფონია, ეს არის ხმაშეწყობილი ტექსტი, რომელიც ერთი ადგილიდან იმართება და ერთი ადგილიდან არის დაწერილი. არ ვიცი, ეს ადგილი ოდესაა თუ რომელი კონკრეტულად, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან დღეს პრეზიდენტის მთავარი დამცველები და თუ აქამდე ეს ალიანსი ფარულად არსებობდა, ამჟერად, ხმაშწყობილი ორკესტრია.

მე მინდა მივმართო საქართველოს პორეზიდენტს მარგველაშვილს, ბატონო გიორ-გი, ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და ბოლოს და ბოლოს კოლეგები ვიყავით. თქვენ ხომ კარგად იცით, რომ თქვენ ხართ არალეგიტიმური პრეზიდენტი, თქვენი ოჯახის წევრებისა და ერთი-ორი მეზობლის გარდა, თქვენთვის არავის მიუცია ხმა. თქვენ სხვის მიერ დანიშნული, შეიძლება ითქვას, სხვის მიერ დადებული ხართ თქვენს სკამზე და თქვენ დღეს სარგებლობთ ამ სკამით და სხვათა შორის ამ სკამს იყენებთ დესტრუქციისათვის ქვეყანაში. ამიტომ, ნორმალური, ლეგიტიმური, მორალური, ზნეობრივი იქნება, რომ იმ სხვა,ს რომელმაც გიბოძათ ეს სკამი, უკან დაუბრუნოთ და დანიშნოთ ვადამდელი არჩევნები... სადაც თქვენი სახელით, თქვენი იმიჯით გამოხვალთ არჩევნებში და თუ გაიმარჯვებთ, თქვენ იქნებით, ამ შემთხვევაში, ლეგიტიმური პრეზიდენტი, თუ არადა, მაშინ წაზვალთ სახლში ან ლექციებს წაიკითხავთ.

მე მინდა მივმართო საქართველოს პორეზიდენტს მარგველაშვილს, ბატონო გიორგი, თქვენ ხართ არალეგიტიმური პრეზიდენტი, თქვენი ოჯახის წევრებისა და ერთი-ორი მეზობლის გარდა, თქვენთვის არავის მიუცია ხმა. თქვენ სხვის მიერ დანიშნული, შეიძლება ითქვას, სხვის მიერ დადებული ხართ თქვენს სკამზე და თქვენ დღეს სარგებლობთ ამ სკამით და სხვათა შორის ამ სკამს იყენებთ დესტრუქციისათვის ქვეყანაში. ამიტომ, ნორმალური, ლეგიტიმური, მორალური, ზნეობრივი იქნება, რომ იმ სხვას, რომელმაც გიბოძათ ეს სკამი, უკან დაუბრუნოთ და დანიშნოთ ვადამდელი არჩევნები...



ეს არ არის პრეზიდენტი, უბრალოდ ქვია პრეზიდენტი და ეს ყველაფერი სასაცილოა სატირალი რომ არ იყო, არა ვარ არც მოსამართლე, არც პროკურორი მაგრამ პრეზიდენტის ნათესავი თუ პოლიციამ გააჩერა და გაჩხრიკა, ეს არანაირი პრობლემა არ არის... თუ ვინმეს უნდა მხედრიონის პერიოდში იცხოვროს, სადაც არავინ არავის არ აჩერებდა, თქვან...

ეს ყველაფერი არის პოლიტიკური თამაში... პაპუაშვილს დარჩა 1-2 თვე, გამოვიდა და პროვოკაციას აგებს... ხატზე შემიძლია დავიფიცო, ჩემზე მეტად ზოგი ოპოიზიციონერი არ აკრიტიკებდა ამ მთავერობას. იქ არის დაპირისპირებები, შიდა ბრძოლა მიდის, მაგრამ იმის მინიშნება, რომ კორცხელის ინციდენტში კალაძე იყო დამნაშავე და დანარჩენები ანგელოზები არიან, ეს იცით რას უსვამს ხაზს? რომ პრეზიდნეტი თამაშობს, პრეზიდენტი ცდილობს რომ მთავრობაში განხეთქილება შეიტანოს... პრეზიდენტი ემზადება რევოლუციისთვის“.

მე მხოლოდ ერთი რამის დამატება მსურს, როცა იმ გუნდს ღალატობ, ვინც პრეზიდენტად დაგსვა თუ დაგდო, როცა არჩევნების წინ ქვეყანის დესტაბილიზაციისთვის რაღაც თემებს იგონებ და თან პრეზიდენტი გინდა გერქვას, როცა წინა, გაქცეული და ძებნილი პრეზიდენტის მითითებებს ასრულებ, ეს ზეწოლა კი არა, ქვეწოლაა, ბატონებო, ქვეწოლა...

**თამუნა კუშელავა**
55 46 08 04



# გურამ პეტრიაშვილი: „ნაცმოძრაობაზე“ ლაპარაკი აღარ მინდა, მაგრამ „ნაცებმა“ თუ გაიმარჯვეს, ეს ნიშნავს, რომ საქართველო აღარ იარსებებს...

**— ბატონო გურამ, რამდენიმე კითხვით უნდა მოგმართოთ.**

— სანამ კითხვებს დამისვამდეთ, უნდა გითხრათ, რომ მსოფლიო ფოლკლორში არსად არ მოიძებნება ისეთი ლექსი, როგორიც არის „საბრალო დედაბრისასა“. ეს ლექსი იმდენად შთამბეჭდავია და ისეთი მრავალმხრივი დატვირთვის, რომ გონებიდან არ მცილდება და ბოლო ხანებში ხშირად ვიმეორებ ამ ლექსის სტრიქონებს.

საბრალო დედაბერს, რომელზეც ლექსი მოგვითხრობს, ეტყობა, შვილებიც მოუკლეს, ქმარიც მტრებთან ბრძოლაში დაეღუპა, უპატრონოდაა დარჩენილი და ამ დედაბერს ეხმარება მთელი სამყარო.

„საბრალო დედაბრისასა,<br>
თაგვნი ყანასა მკიანო,<br>
ლომნი უგრეხენ ულოსა<br>
და ვეფხნი შეუკრიანო“ და ასე მოდის — გვრიტი, შაშვი, ყველა ეხმარება საბრალო დედაბერს. ქართველ კაცს,



ზოგადად, აწუხებს უქონელთა და უპოვართა ბედი.

**— ბატონო გურამ, საქართველოც საბრალო დღეშია, როგორ ფიქრობთ, ეხმარება მას „სამყარო“?**

— საქმე რაშია, იცით?

კაპიტალიზმი არ ნიშნავს, რომ ყველა მათხოვარი იყოს.

გურული ბრძანდებით და არ გეწყინოთ, მაგრამ ჩვენთან ერთმა გურულმა დაამკვიდრა თავისებური წყობა — საქართველოში რომ ჩამოვიდა, პირველი შეხვედრა მწერალთა კავშირში გაუმართეს და იქ, ამ „უდიდესმა“ პოლიტიკოსმა, გენშერის და ბეიკერის მეგობარმა თქვა ასეთი რამ: ქართველები უნდა შევეგუოთ იმას, რომ საქართველოში იქნებიან ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბებიო და განახორციელა კიდევაც ეს ჩანაფიქრი — ერთი მუჭა ხალხი გამდიდრდა, უმეტესობა — გაღატაკდა.

ახლა ერთ ამბავს მოგიყვებით: სამტრედიიდან „მხედრიონელები“ ისე გაიქცნენ, ერთი თოფიც კი არ გაუსვრიათ. ერთი ჩემი ძველი ნაცნობი გააგზავნეს თურმე მაშინ ზვიად გამსახურდიასთან ამ ამბის გასაგებინებლად. მისულა და უთქვამს იმ ჩემს ნაცნობს ზვიადისთვის: ბატონო პრეზიდენტო, სამტრედია ავიღეთო. პრეზიდენტი მაგიდაზე რაღაცას ჩაჰყურებდა თურმე და თავიც არ აუწევია. მეორეჯერ რომ გაუმეორებია — სამტრედია ავიღეთო, მაშინ მიუქცევია ზვიადს ყურადღება და სევდიანი სახით უთქვამს: ჩვენ პუტჩისტებთან ბრძოლას წავაგებთ და საერთოდაც, სასტიკად დავმარცხდებით. მე ამათ შევაკვდები. თქვენ კი წადით, გამრავლდით და გაიხარეთო. შევარდნაძე არაკაცია, მაგრამ მასზე უარესი მოვა, მის წიაღში შობილი და ის მოუღებს ბოლოს საქართველოსო.

მართლაც მოვიდა მის წიაღში შობილი სააკაშვილი და დაამთავრა შევარდნაძის მიერ დაწყებული ნგრევა.

დაღუპეს ქვეყანა ჩვენი ხალხის ზურგით გამდიდრებულმა ე. წ. ბიზნესმენებმა, რომლებიც სინამდვილეში ბიზნესმენები კი არა, ვაჭრუკანები არიან — შემოაქვთ გარკვეულ ფასად ნაყიდი, მაგალითად, სიგარეტი, ყიდიან ზედმეტ ფასად ჩვენს ხალხზე და ამაში აკეთებენ ფულს.

ბიზნესმენმა, ანუ საქმოსანმა ადამიანმა თვითონ უნდა აწარმოოს და მისი ნაწარმი უნდა გაყიდოს, ვაჭრობა და ბიზნესმენობა სხვადასხვა რამეა.

მაგალითი თუ გინდათ, მე ვარ ყველაზე კარგი ბიზნესმენი. არაფრიდან ვწერ ზღაპრებს და მერე ვყიდი.

**— ბატონო გურამ, „ნაცმოძრაობა“ თქვენი აზრით, ხმებს მოაგროვებს არჩევნებში?**

— „ნაცმოძრაობაზე“ ლაპარაკი აღარ მინდა, მაგრამ „ნაცებმა“ თუ გაიმარჯვეს, ან ხმების დიდი რაოდენობა მოაგროვეს, ეს ნიშნავს, რომ საქართველო აღარ იარსებებს.

ფრთხილად უნდა ვიყოთ, იმიტომ რომ, მაგათ ზურგი გამაგრებული აქვთ, მოქრთამული ჰყავთ დასავლეთში მაღალი პოლიტიკური ელიტა და მზად არიან ჩვენი ქვეყნის დასაქცევად.

თქვენ გგონიათ, იმ ვიღაც მაკკეინს საქართველოზე ამოსდის მზე და მთვარე? არა, ბატონო. მაკკეინს, ეტყობა, „ნაციონალებმა“ უკანა ხვრელიდან შეტენეს ტყემალი და ზედ მიაყოლეს ფულიც, თორემ რაში ენაღვლება ახლა მაკკეინს საქართველო.

**— ფული გასაგებია, მაგრამ ტყემალი?**

— კი, ბატონო, ოღონდ აქ ყოფილიყვნენ გაპარპაშებული და ყველაფერს უზამდნენ მაკკეინსაც და ჯორჯ ბუშსაც.

**— ბატონო გურამ, არჩევნებში ხმას ვის აძლევთ?**

— ადამიანები, რომლებიც ქუჩაში მხვდებიან, ამ შეკითხვას ხშირად მისვამენ და მე პასუხი არ მაქვს. არ ვიცი, ვის მივცე ხმა, რადგან ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე, რომ ესეც გაყიდულია და ისიც. თუმცა ვერ დავუკარგავ ივანიშვილს მთავარ დამსახურებას — მან შეწყვიტა ნაციონალების პარპაში საქართველოში და მთავარი ნაძირალა სააკაშვილი საქართველოში აღარ არის. უკრაინაში თუნდაც პრეზიდენტად აირჩიონ, ეს ჩვენი საქმე უკვე აღარაა, მაგრამ მე ვიცნობ უკრაინელებს და შემიძლია ვთქვა: თუ უკრაინელი გაბრაზდა, ძალიან სასტიკია და შეიძლება მიშა ნაკუწ-ნაკუწად გამოგვიგზავნონ აქ. თუმცა მე თუ მკითხავთ, მომხრე ვიქნები — მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მიწაში არ დაიმარხოს!

რუსმა ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ ეს კაცი არის სოციოპათი, რომელსაც სიამოვნებას გვრის სხვა ადამიანის ჩაგვრა. არ გამოვრიცხავ, რომ ადამიანთა წამებას სააკაშვილს აყურებინებდნენ.

ახლა გეტყვით, რატომ მოუწყვეს გადატრიალება ზვიად გამსახურდიას — იგი ამბობდა: კაპიტალიზმშიც და სოციალიზმშიც არის ბევრი კარგი რამ და ჩვენ უნდა მოვახდინოთ კონვერგენცია ისე, რომ ორივესგან მხოლოდ სიკეთე მივიღოთ. ეს მოეწონებოდათ მუქთამჭამელებს?

ზვიადმა ერთ სესიაზე ყველა დეპუტატს დაგვირიგა გერმანელი თეორეტიკოსისა და ეკონომისტის ლუდვიგ ერჰარდის წიგნი, რომელშიც თვით ზვიად გამსახურდიას ხელით, ყველა დეპუტატისთვის ნაჩუქარ წიგნში ხაზგასმული იყო ციტატა: თუ რომელიმე რეფორმა გულისხმობს ერთი ადამიანის სიკვდილს ან მის გაღატაკებას, ის რეფორმა რეფორმად ვერ ჩაითვლებაო.

25 წლის განმავლობაში როგორი რეფორმები გავიარეთ? — სწორედ ხალხის გაღატაკებაზე და სიკვდილზე ორიენტირებული რეფორმების მომსწრე გავხდით.

რა მნიშვნელობა აქვს, რომელ პარტიაში ხარ და რა იდეოლოგიას ემსახურები, მთავარია, წესიერი, პროფესიონალი იყო, ქვეყნისთვის იშრომო და ნაძირლობა არ ჩაიდინო. ესაა მთავარი. ადამიანი სიტყვების რახარუხით კი არ ფასდება, არამედ გაკეთებული საქმეებით.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ნიკა გვარამია, სხვებს რომ ეძახი მეწვრილმანეს, შენ ხომ ხარ მემსხვილმანე... ჰოდა, მშვიდობაში მოიხმარე ეგ მსხვილიც და მაგაზე მსხვილიც...

## „რუსთავი-2“-ი თავისუფალი სიტყვის სიმბოლო კი არა სააკაშვილის მონების „ობშიჟიტიაა“...



„რუსთავი-2-ს“ რატომ უნდა უყურო ადამიანმა თუ ვინმემ არ გაიძულა? — სწორედ ასე დამემართა, „გვარამიას უსმინე, ნახე რას ამბობს ეგ მემსხვილმანეო“ და რადგან სხვა აღარაფერი მითხრეს, ამ ერთი ფრაზით კი ვერაფერს მივხვდი, ვუსმინე და ვუმზირე.




დამჯდარა ეს ერთი სულის შებერვა დარჩენილი ნაპროკურორალი თავისსავე ტელევიზიაში და ისეთს კაკანებს, ჯერ გაოცდები მსმენელ-მაყურებელი — ვინ არის ეს უნამუსოდ უსირცხვილო კაცმაცუნაო და მერე სურვილი გაგიჩნდება წვრილ-წვრილად გადმოულაგო ის ყველაფერი, რასაც ახლა ლაყლაყებს.

ნიკა გვარამია რომ შანტაჟზე ილაპარაკებს და შანტაჟისტების დასჯას მოითხოვს, რატომ ღმერთი ხმამაღლა არ გაიცინებს? „ხელისუფლება რომ მიდის შანტაჟზე, ეს კიდევ უფრო მძიმე დანაშაულიაო“ — გაიგონეთ?

რა არ თქვა, შანტაჟის რა ფორმა არ გაიხსენა, რა განხრითა და მდინარებებით და ბოლოს დასკვნად დადო, კონკრეტულმა ღირსეულმა ადამიანებმა უნდა გადაარჩინონ ქვეყანა და დემოკრატია, 2008 წლის ომი ერთად რომ გამოვიარეთო — თურმე, იქით — საკონსტიტუციო სასამართლოს იმდროინდელ მოსამართლეებს გულისხმობდა და აქეთ — ესენი არიან. ყველა სამართლიან მოსამართლეს — დიდი ტაში, მაგრამ ან იმათ რა გმირობა ჩაიდინეს იმ 2008-ში, ან ამათ — ვინც იცით, კარგად შეინახეთ, ხალხმა არაფერი ვიცითო და...

როგორც ამბობენ, ამოვიდა უკვე ყელში — „რუსთავი-2-ს უკანონოდ უსმენს ხელისუფლება!“ „ახალმა ხელისუფლებამ გადაიღო ახალი კადრები“ და ა.შ



ასეთი უცნაური ბრალდება მხოლოდ ისევ „რუსთავი-2-ის“ თავკაცებს, „გვარამიას და კამპანიას“ თუ მოუვიდოდა აზრად, თვით მოსმენებსა და ფარულ თუ ღია გადაღებებზე გაწაფულებს, ამ საქმის პიონერებს. კაცმა რომ თქვას, რა აქვთ მოსასმენი ან სათვალთვალო, ხელისგულზე არიან დადებულები, ვინ რას წარმოადგენს და რაზეა წამსვლელი, ყველამ კარგად იცის; რასაც შეთხზავენ, თვითონვე უშვებენ ეთერში და რაღა არის მისაყურადებელი, ნეტავ?

„რუსთავი-2“, ეს ხომ იგივე „რუსთავი-2-ია“ რომელიც სატელევიზიო დაჭერების ფუძემდებელია საქართველოში; ხომ იგივე ტელეკომპანიაა, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროიდან თვითონ იყო უკანონო ფარული ჩანაწერების გადამღებ-გამავრცელებელი, საქართველოს გამაშავებელ-დამამცირებელი, ცალკეულ პირთა სახელისა და ღირსების შემლახველი; ეს ხომ იგივე ფუძე-ტელევიზიაა, რომელიც ლამის ოფიციალური ბრალმდებელი იყო იმ უამრავი ადამიანისა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების შეკვეთით დასაჭერ-საწამებლები და რიგ შემთხვევებში დასახოცები იყვნენ; განა იგივენი არ არიან, რომლებიც ქუჩაში ჩახოცილ უდანაშაულო ახალგაზრდებს პირდაპირ აცხადებდნენ კრიმინალებად?

საკადრისი სასჯელის ნაცვლად „ძალიან კეთილნაშობი მეგობარი ქვეყნების“ შემოგდებული კოჰაბიტაციით რომ სასიცოცხლო წყალი იპკურეს „ბოროტების ყვავილებმა“, მოფერიანდნენ და თავები ისევ წამოყვეს ქვეყნის ასამყრალებლად და კიდევ დიდ გულზეა ყველა მათგანი.

ვისაც მიავიწყდა, შევახსენოთ — „ფრიდომ ჰაუსმა“ თავის ანგარიშში როგორცკი ჩაწერა, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში მედია არნახულად თავისუფალიაო, მეორე დღესვე გამოცხვა დაკვეთილი კლიპი-ამბავი „მეც მისმენენ, შენც გისმენენ, ტრიფონიასაც უსმენენ!“ — აქაოდა, ეგ დასკვნა ტყუილია, რეალურად, ნახეთ, რა დღეში ვართო...

ხან ბოდიში იხადა ბატონმა გვარამიამ წარსულის გამო, მეც შემიცოდავს ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებითო; ხან მრისხანე მუქარა გამოაცხო აკანკალებულმა, მაგრამ „გვარამია და კამპანიას“ ყველა შოუმ კრახი განიცადა, თუმცა დღემდე ფართხალებენ იმ გაშლილი დესანტის წყალობით, ყველგან რომ არიან მოდებული მეტასტაზებივით.

კაცი არ გამოჩნდა შეებრუნებინა საკითხი და სიტყვა ერთდროულად და ეთქვა: მონანიე გვარამია, ბოდიშს რომ იხდით და თქვენვე აღიარებთ, რომ მომსმენ-დამსმენები თუ მოთვალთვალე-გადამღებები ამ საქმიანობებში თქვენივე გამობრძმედილები არიან და თუ ვინმემ ჭერში, კედელში ან კიდევ რომელიმე ხვრელში რაიმე სახის მოსასმენ-გადამღები მოწყობილობა დაგიმონტაჟათ, ისევ თქვენები არიან. „ჭიავ, ჭიავ მაპოვნინეს“ ნაცვლად დაასახელეთ თქვენი „აღზრდილებიო.“ ამასთანავე, სისტემა, რომელიც თქვენ შექმენით, შიშზე და უნდობლობაზე იყო აგებული და ამიტომ ყველანი ერთმანეთს თქვენ თავადვე უსმენდითო.

არა თუ? — სად იყო „გვარამია და კამპანიას“ შოუ, ქალაქის მერი გიგი უგულავა რომ აცხადებდა პრესასთან, ჩემზეც არის არცთუ სახარბიელო ჩანაწერებიო, არადა, იმ დროს, როდესაც ეს ჩაწერები კეთდებოდა, ქალაქის მერი უგულავა იყო, ხოლო პრეზიდენტი — სააკაშვილი. მერყოფილი უგულავა იმას წუხდა, შსს სამინისტრო საცერს დაემსგავსა, „შავ ბაზარზე“ ჩანაწერები ქარვასლასავით იყიდებაო, უშიშროების საბჭოს მდივანყოფილი ბოკერია კი პასუხისმგებლობას იღებდა იმაზე, რომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და მისი ალბათობის შესამცირებლად შესაბამისი ზომები არ იყო მიღებული, თუმცა დასძენდა, ახალი ხელისუფლების ხელში ეს პრობლემა არათუ მოგვარდა, პირიქით, გაღრმავდაო.

ესენი მართლა ვერ არიან, აი! — თვითონ დააფრიალებენ კომპრომატებად თავისივე ნათვალთვალებ „პროდუქციას“, თვითონვე ბრაზობენ და ხელს მაინც სხვისკენ იშვერენ.

„მეწვრილმანე ივანიშვილის ბინძური შანტაჟი თუ გაჭრის მათ წინააღმდეგ, ისინი გადავლენ მილევადი რეჟიმისკენ, რომელიც არის ბიძინა ივანიშვილი. ახალი ხელისუფლება ყველაფერს გამოიძიებს. უკვე ყველაფერი ცნობილია, ყველა ინფორმაცია, თუ ვისზე რა შანტაჟი განხორციელდა“ — ჩამოარაკრაკა გვარამიამ „არჩევანში“.

თვით მილეული, მინავლული და მიღვენთილი გვარამია რომ კიდევ მეწვრილმანეს უწოდებს ვინმეს, კი არის ახი, მიაძახო: შენ ხომ ხარ მემსხვილმანე და მშვიდობაში მოიხმარე ეგ მსხვილიც და მაგაზე მსხვილიცო!..

ერთი კაცი ამბობდა და ცამდე მართალი ყოფილა: „არ გვეღირსა ერთი ნორმალური ტელევიზია — „რუსთავი-2“ დაბოღმილი საბოტაჟნიკების რუპორია; „საზმაუ“ — ბორდელი; „იმედელებისავე მოკლული პატარკაციშვილის „იმედი“ — მრავალჯერადი გამოყენების „ნაცაგენტურით“ გაივსო, არადა, ამ ქალაქში მიკროფონი რომ ააგდო ჟურნალისტს დაეცემა თავშიო...“

**გიორგი ჩხეიძე**

## გიორგი ბურჯანაძე:

# სიკვდილის ეს პირამიდა უნდა დაინგრეს!

### „ღმერთმა ყველა დაიფაროს და სანამ რომელიმე პროკურორს ან პარლამენტარს არ გარდაეცვლება შვილი, მანამდე ყური არ უნდა შევიბერტყოთ?“



რამდენიმე დღის წინ სცენარისტმა აკა სინჯიკაშვილმა სოციალურ ქსელში სტატუსი განათავსა:

„ასე მართლა აღარ შეიძლება უკვე. ამ დამპალი ფსიქოტროპული ტაბლეტების გამო, ამ დილასაც ძლივს გადარჩა 20 წლის ბიჭი. ძალიან ბევრი გარდაიცვალა და უფრო მეტი, ნორმალურად ვეღარ აზროვნებს.

ვაშლზე ადვილად შეგიძლია იყიდო გრიმოდინი, ბაკლოსანი, გაბაგამა, გაბაპენტინი, ქსანაქსი, ციკლადოლი და კიდევ ბევრნაირი ძალიან საშიში წამალი. პოლიციელები აფთიაქებში კი არ შედიან და მეპატრონეს კი არ იჭერენ, გამოსასვლელთან დგანან და ამ უტვინო 15 დან 25 წლამდე ბიჭებს იჭერენ, ტაბლეტებით ხელში. კანონი კრძალავს, მაგრამ მაინც არავინ იჭერს ამ გათახსირებულ ფარმა-



ცევტებს და მეპატრონეებს. თუ არ იცით, სად ხდება ეს, მოდით და მე გაჩვენებთ 30-ზე მეტ აფთიაქს, სადაც ასე კანფეტივით, ურეცეპტოდ იყიდება ეს წამლები.

მარტო ჩემი ნაცნობი 4 ბიჭი მოკვდა 16-დან 22 წლამდე. დადექით ნებისმიერი საავაფმყოფოს მიმღებში და საათში ერთხელ მოჰყავთ გათიშული ბიჭიც და გოგოც. ამ დილას ერთი ჩემ თვალწინ კვდებოდა.

ამ ბავშვებს ნუ დააბრალებთ ყველაფერს. არც იციან რას აკეთებენ. ამ დამპალ აფთიაქებში რომ შეხვალთ, თაროებზევე ალაგია წყლიანი ბოთლები, იქვე რომ ჩაყლაპონ და კართან მდგარმა პოლიციამ რომ არ დაიჭიროს. პასუხი რომ მოვთხოვე აფთიაქარს, ასე მითხრა ციხეში ვინ ჩაჯდება მაგასაც გაჩვენებო. დროზე მიხედეთ, სანამ ყველა არ დაწყვეტილა, ჭკუიდან გადასულა და დაბრმავებულა.

მომავალი თაობის იმედი რომ გაქვთ, ქვეყანა ვინც უნდა ააშენოს, აფთიაქები ხოცავენ. იქნებ, ნახოს ეს პოსტი ვინმემ, ვისაც ხელი მიუწვდება ამ ამბავზე და ცოტა სერიოზულად მიხედოს სერიოზულ საქმეებს ქვეყანაში!“

მკითხველს შევახსენებთ, რომ პროფესიული საქმიანობის გარდა, სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი საზოგადოებაში ცნობილია თავისი საქველმოქმედო აქციებით. რამდენიმე თვის წინ, მას გაუჩნდა იდეა, საკუთარი მანქანით „ეტაქსავა“ და შემოსული თანხით ქუჩაში მცხოვრები, მომუშავე თუ უბრალოდ მშიერი ადამიანები დაეპურებინა. მასვე ეკუთვნის „უფასო პურის“ და სხვა საქველმოქმედო იდეები.

დავინტერესდით რა გახდა სცენარისტის სკანდალური სტატუსის შექმნის მიზეზი და კომენტარისთვის **აკა სინჯიკაშვილს** დავუკავშირდით:

— სტატუსი იმიტომ დავდე, რომ ასე გაგრძელება მართლა შეუძლებელია. დღე არ გავა, რომ ვიღაცის სიკვდილის ან ცუდად გახდომის ამბავი არ გავიგო და. ის ბიჭიც, ვიზეც სტატუსში ვწერ, ამ წამლებს ყლაპავდა და ინტოქსიკაცია დაემართა. ბევრი მოუვიდა ან არაყი მიაყოლა და გაითიშა. ეს ერთეული შემთხვევა არ არის და ყველა უბანში იგივე ხდება. წამალი აქვთ საძებნელი თუ რა? ქარვასლასთან ვცხოვრობ და ჩემს გარშემო ხუთი აფთიაქია, სადაც ჩვეულებრივ, მიდიხარ და ყიდულობ. ერთი „მალაკნების ხიდიდან“ ქვემოთ რომ დაყვებით, ჩიტაიას ქუჩაზეა. იქვე, ჩიტაიაზე, მეორეც არის. საბჭოს მოედანზე კიდევ ერთია. მარჯანიშვილზე, რუსული ეკლესიის წინაც არის.. შედიან ეს ბავშვები, 10 თეთრიან ციკლადოლი 15- 20 ცალს ყიდულობენ და ერთად ყლაპავენ. დავიჯერო, ამ პრობლემას მარტო მე ვხედავ და სხვა ვერა?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარესთან საუბარში გავარკვიეთ, რომ პრობლემას ისიც ხედავს, თუმცა, მის დასაძლევად, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა.

**გიორგი ბურჯანაძე:** —როგორც ვვარაუდობდით, რეცეპტის გარეშე ფსიქოტროპული პრეპარატების რეალიზაციასთან დაკავშირებით, სანქციების გამკაცრების მიუხედავად, ვითარება არ შეცვლილა. მივიღეთ ის, რომ ზრდასრული ადამიანისთვის, რომელსაც ფსიქოტროპული მედიკამენტი სამკურნალოდ ჭირდება, მისი შეძენა პრობლემას წარმოადგენს და ხელმისაწვდომია არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც ამ მედიკამენტებს ნარკოტიკული თრობის მისაღწევად იყენებენ.

ჩვენმა ორგანიზაციამ რამდენიმე სკოლაში არსებული მდგომარეობის გამო განგაში ატეხა, როცა საქმე იქამდე მივიდა, რომ ნარკოტიკური თრობის ქვეშ მყოფი გოგონები გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ითიშებოდნენ. წარმოიდგინეთ, რომ საუბარია, მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებზე. სკოლის მანდატურებმა რომ ვერაფერი გააწყვეს, ჩვენ დაგვიკავშირდნენ. მივედით და გავარკვიეთ, რომ ბავშვები ლურჯი ფერის კაფსულებში მოთავსებულ ფხვნილს ისუნთქავდნენ და მერე უკეთესი რეაქციისთვის, რაღაც აბებს აყოლებდნენ. ბევრი მათგანი გაკვეთილის მიმდინარეობისას თავს ვეღარ იკავებდა და სკამიდან ვარდებოდა, ზოგს უარესიც ემართებოდა.. ეს თემა რამდენჯერმე ტელევიზიითაც გავაშუქეთ, რასაც დროებითი პაუზა მოჰყვა, მაგრამ ბოლო 6-8 თვის განმავლობაში ვითარება ისევ უკონტროლო გახდა. თითქოს ამ პრობლემას ვეღარავინ ხედავს და აღარავის ესმის, რაც ძალიან ცუდ ეჭვებს აჩენს.

— **გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სანქციების გამკაცრებაში. წლების წინ, ფსიქოტროული თრობის ეფექტის მქონე პრეპარატების ურეცეპტოდ გაყიდვის პირველ შემთხვევაზე, აფთიაქს აფრთხილებდნენ. მეორე შემთხვევაზე კი 600 ლარიან ჯარიმას აკისრებდნენ. ჩვენ მოვახერხეთ კანონის გამკაცრება და ამჟამად, ფსიქოტროპული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვის პირველივე ფაქტზე აფთიაქს 6 000 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. მეორე შემთხვევაზე 12 000 ლარიანი ჯარიმაა გათვალისწინებული, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ აფთიაქებს ფარმაცევტული საქმიანობის უფლების შეჩერებაც კი არ აშინებთ, რადგან ძველ შპს ახლით ანაცვლებენ, რასაც იუსტიციის სახლში 15 წუთი ჭირდება და ჩვეულ საქმიანობას უბრუნდებიან. ვიღაცისთვის სხვისი შვილების სიცოცხლის ხარჯზე ფულის კეთება ისეთ სარფიან ბიზნესად ქცეულა, რომ აფთიაქებს მხოლოდ ფსიქოტროპული მედიკამენტების გასაყიდად ხსნიან.

ამიტომ ვამბობ! სიკვდილის ეს პირამიდა აუცილებლად უნდა დაიშალოს! არავითარი ჯარიმა და ყურის აწევა, კანონი მაქსიმალურად უნდა გამკაცრდეს. პირველ შემთხვევაზე 12 000 ლარიანი ჯარიმა და მეორე შემთხვევისთანავე, სისხლის სამართლის საქმის წარმოება უნდა დაიწყოს. განგაშია ასატეხი, რადგან სააფთიქო ნარკომანია მომავალ თაობას გვინადგურებს. ამ მედიკამენტების მოხმარება მთლიანად აჩლუნგებს და დამოკიდებულს ხდის ახალგაზრდა თაობას. ნუ მივცემთ არამზადებს იმის საშუალებას, რომ ჩვენი შვილების სიცოცხლის ხარჯზე ჯიბეები გაისქელონ. ძალიან მძიმე სანახავი იყო და არასოდეს დამავიწყდება დედა, რომელმაც შვილი სიკვდილს რამდენჯერმე გამოსტაცა, მის სარეაბილიტაციო კურსებში 75 000 ლარი გადაიხადა და ამჟამადაც რეანიმაციაში უწევს. ღმერთმა ყველა დაიფაროს და სანამ რომელიმე პროკურორს ან პარლამენტარს არ გარდაეცვლება შვილი, მანამდე ყური არ უნდა გავიბარტყუნოთ? ეტყობა, ამას ველოდებით..

**ნელი თორდია**
571 35 36 88



# სომხური ნაციონალიზმი და „ჯავახური“ სეპარატიზმი



**ამ სათაურით ინტერნეტ-გაზეთმა „Кавказ Плюс“-მა გამოაქვეყნა ანალიტიკური წერილი, რომლის ნაწყვეტებსაც ვთავაზობთ მკითხველს.**

მიმდინარე წლის 10 ივლისს ახალქალაქის რაიონის სოფელ **ვაჩიანში** ნახეს საკუთარ სახლში მოკლული სომხური ოჯახი - 37 წლის **ოფელია კაჩოტიანი** და მისი სამი შვილი - **7 წლის სერჟიკა, 16 წლის ასია და 18 წლის არმინე**. წინასწარი მონაცემებით, ცხედრები აღმოაჩინეს მეზობლებმა მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ქართულმა პოლიციამ ოპერატიულად დააკავა ეჭვმიტანილი, ვინმე **ნოდარ აკოფიანი**, მოკლულების თანასოფლელი. აკოფიანმა აღიარა თავისი დანაშაული. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

დანაშაული შემზარავია და აღმაშფოთებელი. მკვლელს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის, არანაირი გამართლება არ აქვს. მაგრამ ამ დანაშაულის ჩადენაში, რა შუაშია საქართველო, ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება?



თუმცა სომეხი ნაციონალისტები არ იქნებოდნენ ის, რაც სინამდვილეში არიან, ეს ტრაგიკული ისტორია რომ არ გამოეყენებინათ ანტიქართული ისტერიის გაჩაღების მცდელობაში და, ამავდროულად, ნავთი დაესხათ სეპარატისტული განწყობებისთვის სომხებით დასახლებულ ქართულ პროვინციაში - სამცხე-ჯავახეთში. პროვოკაციული სარედაქციო წერილით - **„ქართული შოვინიზმი - რა ქნან სომხებმა?“** თავი გამოყო ცნობილმა სომხურმა საიმფორმაციო რესურსმა „Armenian Report“-მა. მის ამ მონაჩმახში უხვად არის ცილისწამება ქართველ სამართალდამცველებზე და საქართველოს ხელისუფლებაზე, ვითომდა ამ დანაშაულის მიმართ მათ „მიკერძოებული“ დამოკიდულება აქვთო. „არმენიან რეპორტი“ წერს: **„უკვე გასაგებია, სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ, რომ ერთადერთ ეჭვმიტანილად აკოფიანი გამოიყვანონ, თუმცა, აშკარაა, რომ შეუძლებელია, აი, ასე გულცივად გაუსწორდე მთელ ოჯახს“.**

ძალზე საკვირველია! როცა 2015 წლის დასაწყისში ქალაქ გიუმრიში დაცხრილეს არა ოთხკაციანი, არამედ შვიდკაციანი სომხური ოჯახი, სომეხ ნაციონალისტებს რატომღაც ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ისინი მოკლა ერთადერთმა ადამიანმა - **ვალერი პერმიაკოვმა**. არ ეპარებოდათ ეჭვი იმიტომ, რომ ეჭვმიტანილი რუსი გახლდა, აქ კი ეჭვმიტანილს სომხური გვარი აქვს და სომეხი ნაციონალისტები ცდილობენ, დანაშაული გადააბრალონ ქართველებს და ცილი დასწამონ საქართველოს ხელისუფლებას. „არმენიან რეპორტი“ წერს: **„შესაძლოა, ეს დანაშაული ადგილობრივი ქართველების მიერ არის ჩადენილი და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მალავენ დანაშაულს, რადგან არ გაამწვავონ უამისოდაც დაძაბული ეროვნებათაშორისო ურთიერთობები სომხებით დასახლებულ ჯავაკხში? უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენი წყაროები სოფელ ვაჩიაში, რომელშიც მოხდა ეს მკვლელობა, ერთხმად ამბობენ, რომ მკვლელები იყვნენ ჩამოსული გასტროლიორი ქართველები და არა ადგილობრივები“.**

ჯერ ეს ერთი, ოფიციალური მონაცემებით სოფელ ვაჩიანში არ ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები. ასე რომ, **„ადგილობრივი ქართველები“** ამ სომხურ სოფელში არ არსებობენ, როგორც მოვლენა. თუმცა, აქვე, „არმენიან რეპორტი“ ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, როცა ამტკიცებს: **ჩვენი წყაროები სოფელ ვაჩიანში ერთხმად ამბობენ, რომ მკვლელები იყვნენ ჩამოსული გასტროლიორი ქართველები და არა ადგილობრივებიო.** გაოცებას იწვევს, რატომ არ ასახელებენ კეთილისმსურველები „არმენიან რეპორტიდან“ მათი „წყაროების“ კოორდინატებს, მათ სახელებს და გვარებს? თუ სინამდვილეში მაგ ადამიანებმა რაღაც იციან დანაშაულზე და ერთხმად ამბობენ, რომ ბოროტმოქმედები არ იყვნენ ადგილობრივები, მაშინ მოგვევლინონ მოწმეებად და დაეხმარონ სამართალდამცავებს ამ დამნაშავეების მოძებნა-გამოვლინებაში. თუ ეს ბოროტმოქმედები მართლაც არსებობენ, მაშინ დაუშვებელია, რომ მკვლელებმა დააღწიონ სასჯელს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ. მაგრამ, თუ „წყაროების მონაცემები“ არ მტკიცდება და ისინი უსაბუთოდ, მხოლოდ ეროვნული სიძულვილის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ დანაშაული ჩაიდინეს რომელიღაც „გასტროლიორმა ქართველებმა“, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცილისწამებასთან და ეროვნებათა შორის მტრობის გაჩაღებასთან.

„არმენიან რეპორტი“ აგრძელებს: **„შეგახსენებთ, რომ იმ დროს, როცა დანარჩენ საქართველოში უმჯობესდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მათ შორის, აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულში, ჯავაკხში პირიქით, უარესდებოდა, რაც აიძულებდა სომხებს ქვეყნიდან წასვლას“.**

შევახსენებთ სომეხ ჟურნალისტებს, რომ მარნეულის რაიონში აზერბაიჯანელებმა უკეთ დაიწყეს ცხოვრება არა „ციდან ჩამოცვენილი მანანის“ გამო, არამედ დაუღალავი შრომით მიწაზე. არავინ უშლიდა ჯავახეთის სომხებს ეშრომათ ისე, როგორც მარნეულელ აზერბაიჯანელებს. და თუ მიწაზე შრომის მაგივრად, სომხებს ურჩევნიათ საშოვარზე რუსეთში წასვლა, მაშინ, რა შუაშია აქ საქართველოს ხელისუფლება?

„არმენიან რეპორტი“ იხსენებს ახლახან მომხდარ სომეხი და ქართველი ახალგაზრდების დაპირისპირებას, როცა სომხური სათვისტომო აღნიშნავდა სომხების მითიური „გენოციდის“ მორიგ წლისთავს: **„ასევე შეიძლება გაიხსენო, როდესაც ქართულმა ხელისუფლებამ არ ისურვა, გამოეძია აპრილის ინციდენტი ახალქალაქში, როცა სომეხთა სამგლოვიარო პროცესიას თავს დაესხა ქართველთა შეზარხოშებული ბრბო. საწყენია, მაგრამ ინციდენტში დაადანაშაულეს სომხები, თუმცა, ისინი დაზარალებული მხარე იყო“.**

აქაც სიცრუეა. ქართველები არავისზე თავდასხმას არც კი ფიქრობდნენ. ისინი ქალაგგარეთ ისვენებდნენ, როცა მათ მოადგა სომეხთა ბრბო თავისი სამგლოვიარე-ჩირაღდნიანი „საგენოციდო“ სვლით და მოსთხოვა, რომ ქართველებს მიეღოთ მონაწილეობა „სამგლოვიარო პროცესიაში“. რა საკვირველია, ქართველები აღშფოთდნენ იმით, რომ მათ მიწაზე უცხოტომელები თავის წესებს ამყარებენ და ამ მიწის პატრონებს - ქართველებს ასწავლიან, როდის უხაროდეთ და როდის მოიხსენიონ ცხარე ცრემლებით მითიური „გენოციდის მსხვერპლნი“.

მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელია ის, რომ „არმენიან რეპორტმა“ გამოიყენა ვაჩიანში მომხდარი დანაშაული მიზეზად - პირდაპირ დაემუქროს საქართველოს სეპარატიზმის გაღრმავებით სამცხე-ჯავახეთში და ქართულ სახელმწიფოს გაუგონარი სითავხედით და ყოვლად დაუსაბუთებლად პრეტენზიები წაუყენოს ამ ქართულ მიწაზე: **„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს შემადგენლობაშია ძირძველი სომხური ჯავაკხი, რომლის მოსახლეობა კვნესავს ქართული თავაშვებულობისგან და ოცნებობს დედა სომხეთთან შეერთებაზე. ჯერჯერობით, ერევანი ცდილობს, არ გააკეთოს რეაგირება ჯავაკხის სომხური მოსახლეობის დაუოკებელ სურვილზე. მაგრამ, თუ თბილისი შემდგომშიც ითამაშებს გამწვავებაზე, გააგრძელებს ჯავაკხის ძირძველი მოსახლეობის უფლებების და ინტერესების უგულვებელჰყოფას, მაშინ სომხეთში შეუძლიათ, გადახედონ თავის დამოკიდებულებას ამ მტკივნეულ და, უკვე დიდი ხანია, მომწიფებულ საკითხზე. ამისგან უკეთ იგრძნობენ თავს ქართველები? არა გვგონია და, ამიტომ, უნდა გონს მოეგონ ახლა, სანამ გვიან არ არის, როგორც ეს უკვე მოუვიდათ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც ქართველებმა** (რუსულ ტექსტში „არმენიან რეპორტი“ „грузин“-ნების მაგივრად წერს „картвелы“. გ.კ.) **სამუდამოდ დაკარგეს“.**

ანუ წერილის ბოლოს სომეხი ნაციონალისტები „არმენიან რეპორტიდან“ ემუქრებიან საქართველოს და ქართველ ერს, უყენებენ სიცრუით გაჟღენთილ სომეხთა პრეტენზიებს ქართულ ტეროტორიებზე. ძირძველი ქართული მხარე - სამცხე-ჯავახეთი, რომლის მიწას პირველმა სომხებმა ფეხი დაადგეს მხოლოდ 1830 წელს წოდებულია, როგორც „ძირძველი სომხური ჯავაკხი“. ამის გარდა, სომხები პირობას დებენ, რომ გაიმეორებენ ისეთივე ეთნიკურ წმენდას ქართული მოსახლეობის მიმართ, რაც სომეხმა ბოევიკებმა განახორციელეს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და ქართულმა სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება ისეთ ანტიქართულ წერილებს, როგორიც არის „არმენიან რეპორტის“ წერილი. ამ სტატიის სახით ჩვენ წინ არის უტყუარი მტკიცებულება სომეხი ნაციონალისტების ძირგამომთხრელ ქმედებებზე სამცხე-ჯავახეთში.

მოამზადა
**გიორგი კორძაძე**

# მათ სურთ მთელი დედამიწის მოსახლეობა „ნემსზე შესვან“



## მსოფლიო ნარკომაფია და სიონისტური ორგანიზაციები ნარკოტიკული საშუალებებით მიზანმიმართულად ანადგურებენ ქვეყნებს და ხალხებს

**ინტერვიუ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან.**

ვაგრძელებთ ინტერვიუს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **დავით გაგნიძესთან**.

- თურქესტანის ავტონომიური რესპუბლიკა, დედაქალაქით ტაშკენტი, 1918-24 წლებში რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) შემადგენლობაში შედიოდა. თურქესტანი მოიცავდა სამარყანდის, სემირეჩინსკის, ფერგანისა და სირდარიის ოლქებს და რევოლუციამდე ამ ტერიტორიებს თურქესტანის საგენერალგუბერნატორო ერქვა. რუსეთმა სამედიცინო საჭიროებებისთვის, 1913 წელს თურქეთისგან 16 ტონა ოპიუმი იყიდა, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება რუსეთში დაუფიქსირებელი ოპიმის წარმოება. ამ დროს ჩინეთშიც იწარმოებოდა ოპიუმი, რომლის მოსახლეობაც, როგორც უკვე გითხარით, ინგლისმა, ამერიკამ და საფრანგეთმა „ნემსზე“ მყარად „შესვა“. ასე რომ, საბჭოთა კავშირის შექმნის დროს, ნარკომაფიოზებს საკმაო გამოცდილება გააჩნდათ. 1920-50 წლებში, საბჭოთა ხელისუფლება მკაცრად ებრძოდა ნარკომანიას და არა ნარკობიზნესს, რადგან თვლიდნენ, რომ კლასობრივ ბრძოლაში ყველა ხერხი მისაღები იყო. ადგილზე წარმოებულ ოპიუმს დასავლეთში აგზავნიდნენ სარეალიზაციოს, თუმცა არა იმ მასშტაბებით, რასაც მოგვიანებით მიაღწია. 1917 წლიდან შორეულ აღმოსავლეთსა და თურქესტანში, გარდა სემირეჩინსკის ოლქისა, რომელშიც ყირგიზეთის ჩრდილოეთიც შედიოდა, ოპიუმის ყაყაჩოს წარმოება აიკრძალა. 1920 წლის აგვისტოში, თურქესტანის სახალხო კომისრების საბჭომ, სამედიცინო საჭიროებისთვის განკუთვნილ ოპიუმის წარმოებაზე სახელმწიფო მონოპოლია გამოაცხადა. 1926 წელს, რსფსრ-ის სს-ის კოდექსში პირველად გაჩნდა მუხლი ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდის, სახელმწიფოსთვის დამალვის, ყიდვის, უნებართვო წარმოებისთვის, ასევე ოპიუმის ყაყაჩოსა და სამხრეთის კანაფის თვითნებური დათესვის დასჯადობასთან დაკავშირებით. 1924 წელს, შუა აზიის რესპუბლიკებად დაყოფის შემდეგ, ოპიუმის ყაყაჩოს დასათესი მიწის ფართობები მთლიანად ყარა-ყირგიზეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რომელიც რსფსრ-ის შემადგენლობაში შედიოდა. იმავე წელს 13.980 კგ ოპიუმი იქნა იმპორტირებული, თუმცა 1926 წელს იმპორტი აღარ განუხორციელებიათ, რადგან ქვეყანამ თავად დააკმაყოფილა მოთხოვნები. სამაგიეროდ, საგრძნობლად გაიზარდა კონტრაბანდა ჩინეთსა და სხვა რეგიონებში. 1926 წელს მოყვანილი 105.852 კგ ოპიუმიდან, ათი ტონა „დაიკარგა“. იმავე წლის მაისში, საბჭოთა კავშირის საერთო-საკავშირო აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკ-ი), დადგენილება მიიღო „კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რის გამოც 30-იან წლებში კონტრაბანდა საგრძნობლად შემცირდა, თუმცა შიდა ბაზარზე გაიზარდა მისი რაოდენობა. 1930 წელს, ყირგიზეთში ოპიუმის ყაყაჩოს მწარმოებელი მეურნეობა კოლმეურნეობებად გადაკეთდა და მასზე კონტროლი მილიციას დაევალა. ამ კუთხით, დიდი როლი ითამაშა 1934 წლის 27 აგვისტოს დადგენილებამ „ოპიუმის ყაყაჩოსა და ინდური კანაფის ნათესების აკრძალვის შესახებ“, სადაც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირს სამედიცინო საჭიროებისთვის დიდი მარაგი გააჩნდა და ამ ღონისძიების აუცილებლობა, მისი დატაცების თავიდან აცილების მიზნით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხსენებულ სფეროში დიდი „სასწაული“ მოხდა, ოპიუმის ბინძურ „ომში“ სოციალისტური ბანაკის სულისჩამდგმელი და ფლაგმანი საბჭოთა კავშირიც აღმოჩნდა ჩართული. იყო დრო, როდესაც ეს ქვეყანა „წარმატებით“ ახორციელებდა ოპიუმით ვაჭრობის „სოციალისტურ გეგმებს“. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ნარკოტიკებით ვაჭრობის „საქმეში“, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები ჩანს, გარკვეულწილად ბრიტანეთის „კვალსაც“ აღმოვაჩენთ, მაგრამ სიონისტებს არავინ ახსენებს, არადა სწორედ ისინი განაგებენ ამ სფეროს, სწორედ მათ აიყვანეს ნარკოვაჭრობა სახელმწიფო რანგში. მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში სიონისტების იდეოლოგიურ-პრაქტიკული „მოღვაწეობის“ შედეგია, ის სავალალო მდგომარეობა, რომლის წინაშეც დღეს მთელი მსოფლიო დგას.



მსოფლიომ ნარკობიზნესს ომი გასული საუკუნიდან გამოუცხადა, 1909 წელს, ჩინეთის ქალაქ შანხაიში დაარსდა ოპიუმთან ბრძოლის პირველი საერთაშორისო კომისია, რომლის მუშაობის შედეგად, 1912 წელს მიღებული იქნა ჰააგის კონვენცია. აშშ-ში 1914 წელს ნარკოტიკული ნივთიერებები აკრძალეს, 1925 წელს, ერთა ლიგამ ჟენევის კონფერენციაზე განიხილა საკითხი – ნარკოტიკებით ვაჭრობაშიAსახელმწიფოთა ხელისუფლებების მონაწილეობის აკრძალვის შესახებ. 1928 წელს ძალაში შევიდა ჟენევის კონვენცია, რომელიც ევროპაში „ჰეროინის“ იმპორტს კრძალავს, თუმცა ამას დადებითი შედეგი არ მოყოლია. კრიმინალურმა დაჯგუფებებმა „საქმიანობის არეალი“ ჯერ თურქეთში გადაიტანეს, მოგვიანებით კი ჩინეთში „გადაამისამართეს“. პირველი კრიმინალური სინდიკატი შანხაიში ჩამოყალიბდა, რომელსაც „შანხაის მწვანე ბანდა“ ერქვა, ჩინეთი ნარკოიმპორტიორიდან, მსხვილ „ექსპორტიორად“ იქცა. მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში (60-იან წლებამდე) თურქეთი იყო დასავლეთის ქვეყნებისთვის ოპიუმის მთავარი მიმწოდებელი, საფრანგეთის ქალაქ მარსელის ლაბორატორიებში ოპიუმის „ჰეროინად“ გადამუშავებას კორსიკული დანაშაულებრივი დაჯგუფება ახორციელებდა. იმ პერიოდისთვის თურქეთის ნარკომიმწოდებლური „მოღვაწეობა“ თითქმის საუკუნეს ითვლიდა. 1949 წელს ჩინეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, როცა მაო ძე დუნი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ოპიუმის წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებები გატარდა, ამის შემდეგ ირანი გახდა ოპიუმის ყველაზე დიდი მომხმარელი. ხსენებული რევოლუციის შემდეგ, „შანხაის მწვანე ბანდა“ ჰონკონში გადაბარგდა, ადგილობრივმა კრიმინალურმა დაჯგუფება „მეტოქე“ კი გაანადგურა, მაგრამ უარი არ უთქვამს მის ქიმიკოსებსა და ტექნოლოგიებზე. ჰონკონგელმა კრიმინალებმა „ესტაფეტა“ სიამოვნებით გადაიბარეს და ბირმისა და ტაილანდის საზღვარზე „ჰეროინის“ დამამზადებელი ლაბორატორია დააარსეს. ბირმაში გადავიდნენ ჩინელ კომუნისტებს გადარჩენილი გომინდანელებიც. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ნარკობიზნესში სხვადასხვა სპეცსამსახურების აქტიური ჩართვა და ნარკობარონების გამოყენება სახელმწიფოთა ხელმძღვანელობების გადაყენება-დანიშვნის საქმეში. 1970 წელს „ოქროს სამკუთხედის“ მიერ წარმოებულმა ოპიუმმა 713 ტონა შეადგინა. ოპიუმის მთლიანად წარმოება კი, ქვეყნების მიხედვით ასე ნაწილდება: ბირმა - 500 ტონა; ლაოსი, ვიეტნამი, ტაილანდი – 213 ტ; თურქეთი – 76 ტ; ირანი, ავღანეთი, ინდოეთი – 305 ტ; მექსიკა – 15 ტ. თურქეთში აშშ-ის დახმარებით გატარებული ღონისძიებების შედეგად 1974-75 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ოპიუმის წარმოება. მართალია, ამბობდნენ, რომ წარმოება მთლიანად აღმოიფხვრა, მაგრამ ინფორმაციები არსებობდა, რომ გასული საუკუნის მიწურულამდე თურქეთში არალეგალურად



ზაჰირ შაჰი



თანსუ ჩილერი

მაინც ეწოდნენ ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანას. 90-იან წლებში ამიტომ დაადანაშაულა ერთ-ერთმა გერმანელმა მოსამართლემ, თურქეთის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი ნარკომაფიის მფარველობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქებმა ვერაფერი მოუხერხეს იმ ნარკოლაბორატორიებს, სადაც ხდებოდა ავღანური ოპიუმის მნიშვნელოვანი ნაწილის „ჰეროინად“ გადამუშავება. ასე რომ, თურქეთი ოპიუმის გადამამუშავებელ და რეალიზატორ ქვეყნად დარჩა. 1978-80 წლებში „ოქროს სამკუთხედის“ ქვეყნებში დაფიქსირებულმა ძლიერმა გვალვებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ოპიუმის მათი „წილი“ მსოფლიო არალეგალურ ბაზარზე, თუ 1971 წელს 700 ტონა მოსავალი მიიღეს, 1979 წელს 160 ტონა მოვიდა. თურქეთის გამოკლებამ და ხსენებული ქვეყნების უმოსავლო წლებმა ბაზარზე ავღანეთი-ირანი-პაკისტანის წილის გაზრდა გამოიწვია, „ოქროს ნახევარმთვარის“ ქვეყნებში 1.400 ტონა ოპიუმის მოსავალი აიღეს. ინდოეთში ოპიუმს 1930 წლის შემდეგ აღარ აწარმოებენ, ხოლო ჩინეთში 1970 წლის შემდეგ.



**- ბატონო დავით, ბოლო პერიოდში ოპიუმის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორად ავღანეთი ითვლება. ადრინდელ ინტერვიუებში არაერთხელ გითქვამთ, რომ საბჭოთა ჯარების, ხოლო შემდეგ ნატოს ჯარების ავღანეთში „სამშვიდობო მისიით“ შესვლა, სინამდვილეში ნარკობიზნესის გაკონტროლებას უკავშირდება. მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ ამ ქვეყანაზე, მით უმეტეს, რომ ქართული სამხედრო კონტიგენტი, რაოდენობით მხოლოდ აშშ-ისას ჩამორჩება.**

- ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა ცენტრალურ აზიაშია, იგი ესაზღვრება ირანს, პაკისტანს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს, ჩინეთს და ინდოეთს, ჩინეთთან, პაკისტანთანთან და ინდოეთთან აქვს სადაო ტერიტორიები — ჯამუ და ქაშმირი. ავღანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო 1747 წელს შეიქმნა, ანუ იმ დროს, როცა ირანის იმპერია დაიშალა, ქვეყნის შაჰი ახმად-შაჰ დურრანი გახდა, ხოლო დედაქალაქი ყანდაგარი. მე-19 საუკუნეში, მთელი ასი წელი გრძელდებოდა ბრიტანეთსა და მეფის რუსეთს შორის ბრძოლა, ავღანეთში გავლენის მოსაპოვებლად. ავღანეთმა 1919 წელს ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ მისი საზღვრები ბრიტანეთ-რუსეთის მოლაპარაკებების შედეგად დადგინდა. როგორც ავღანელები ამბობენ, ქვეყნისთვის ყველაზე მშვიდობიანი პერიოდი 1933-73 წლები იყო, როდესაც ავღანეთის სამეფოს ზახირ-შაჰი მართავდა. იგი 2009 წელს 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. ზახირ-შაჰს განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული და საკმაოდ ნორმალური მმართველი იყო, მას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, როგორც საბჭოთა კავშირთან, ისე ამერიკასთან. 1955 წელს ნიკიტა ხრუშჩოვი იმყოფებოდა ავღანეთში ვიზიტით, 1957 წელს ზახირ-შაჰს ჰქონდა საპასუხო ვიზიტი, 1956 წელს ორ ქვეყანას შორის შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირს 32,4 მილიონის ღირებულების სამხედრო შეიარაღება უნდა მიეწოდებინა ავღანეთისთვის. 1959 წლის დეკემბერში ავღანეთს აშშ-ის პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერიც სტუმრობდა. დიდი სამაულო ომის წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთმა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ამ ქვეყნის ზოგიერთ ლიდერს, მაგალითად დაუდ ხანს, საბჭოთა კავშირისთვის ბუხარისა და ხივის (უზბეკეთის ქალაქები) წართმევა სურდა, ისინი მოსკოვისა და ლენინგრადის დაცემას ელოდებოდნენ. სწორედ ზახირ-შაჰის მონარქობის დროს დაიწყო ის პროცესი, რამაც შემდგომში ავღანეთი სრულ დაქცევა-განადგურებამდე მიიყვანა, მსოფლიოს კი უამრავი თავსატეხი გაუჩინა. ყველაფერი ჩვეულებრივი ჰაშიშიდან დაიწყო, ავღანეთში ჩასულ ტურისტებს ძალიან მოეწონათ ეს მსუბუქი ნარკოტიკი და ფართოდ ეტანებოდნენ. ზოგიერთ ტურისტს თავის ქვეყანაშიც მიჰქონდა ეს ნარკოტიკი და ახლობლებს ასინჯებდა. ტურისტების მხრიდან ჰაშიშის მოხმარების მასშტაბები ძალიან სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რაც საბჭოურ სპეცსამსახურებს არ გამოპარვიათ. 60-იანი წლების დასაწყისში, ხრუშჩოვის თანამდებობიდან იძულებითი გადაყენების შემდეგ, საბჭოთა კავშირი ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა და რომ იტყვიან, სანთლით ეძებდა ყოველგვარ შემოსავალს. საქმე იმაში იყო, რომ სტალინის მიერ რუდუნებით აღორძინებულ იმპერიას, ხრუშჩოვმა ათ წელიწადში ბოლო მოუღო, რის გამოც ამ უზარმაზარი ქვეყნის მოსახლეობის უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24
**(გაგრძელება იქნება)**

# როდის იყო, ყაჩაღები ნაყაჩაღარს ნებაყოფლობით უკან აბრუნებდნენ?!

საკითხავია, რომელ, ვის მიერ წართმეულ ქონებაზე საუბრობს ნაციონალი ბაქრაძე. იმ ქონებაზე ხომ არა, მისი პარტიის წარმომადგენლები რომ ართმევდნენ ხალხს და იმ დროს თავად ბაქრაძე სილამაზის სალონებში ნებივრობდა. ახლა, არჩევნების წინ, ტელეკამერებთან კეკლუცობს, ხალხს ქონებას დავუბრუნებთო?! იმაზე კი არაფერს ამბობს, რამდენ ადამიანს დაუნგრიეს, დაუმახინჯეს ცხოვრება, დააავადმყოფეს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად, ქუჩაში უსახლკაროდ დატოვეს.

ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, რამდენიმე ისტორიას მოგითხრობთ, რომლებიც ციხეში პირადად ვნახე.

ნაცების რეჟიმის პერიოდში საპროცესო შეთანხმებები დიდი ფუფუნება გახლდათ, რადგან ასტრონომიული თანხები იყო გადასახდელი. ამასთან, ადამიანი ან მსუბუქი დანაშაულისთვის უნდა ყოფილიყო ბრალდებული, ან სულაც, უდანაშაულო, რათა საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმებულიყო პროკურატურა.

სწორედ შეთითხნილი ბრალდებით იყო ერთ-ერთი ახალგაზრდა, 25 წლის კაცი ციხეში. თავისთავად, არავის უნდა, მისი ოჯახის წევრი სატუსაღოში იმყოფებოდეს. ამიტომაც, იმ ბიჭის ოჯახის წევრებმა დიდი წვალებით დაიყოლიეს პროკურატურა საპროცესო შეთანხმებაზე. სოლიდური თანხის გადახდაზეც თანხმობა განაცხადეს. საამისოდ თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში საცხოვრებელი სახლი გაყიდეს და საპროცესო შეთანხმებისთვის თანხა გადაიხადეს და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდნენ. თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, ადამიანს კოშმარულ სიზმარშიც რომ არ დაესიზმრება. სასამართლოს წინ დილაუთენია იმ ახალგაზრდას აცნობეს, რომ პროკურატურა დამატებით 15 ათას (!) აშშ დოლარს ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმებაზე არ დათანხმდებოდა! ოჯახი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა — აღარც ფული ჰქონდათ და აღარც ბინა! პროკურატურამ და იმდროინდელმა ხელისუფლებამ ისინი „გადააგდო“!

ახლა გულწრფელად მინდა ვიკითხო, რას ეტყვით ასეთ დაზარალებულ ხალხს, რომლებიც ათეულობით არიან ჩვენს გარშემო. ვეკითხები მათ, ვინც ნაციონალებს უჭერს მხარს, თორემ მათ ლიდერებს სინდის-ნამუსი არასოდეს აწუხებდათ.

მეორე, მაგრამ განსხვავებული ისტორია. ერთ-ერთ ახალგაზრდა კაცს ცოლი ადრე გარდაეცვალა, 3 შვილს მარტო უვლიდა და ზრდიდა. ტოტალურ უმუშევრობასა და გაჭირვებაში ჯართის შეგროვება დაიწყო. სწორედ ჯართის ქურდობის ბრალდებით (როგორ მოგწონთ ფორმულირება?) ოჯახის უფროსი თავის ორ, 18 და 20 წლის ბიჭებთან ერთად დააპატიმრეს. გარეთ მხოლოდ 14 წლის გოგონა დარჩა! ნერვიულობის შედეგად კაცს ფსიქიკური პრობლემები შეექმნა ციხეში. ფაქტობრივად, კაცი გაგიჟდა!

დიახ, ამ შემთხვევაში ამ ოჯახისთვის ქონება არ წაურთმევიათ, მაგრამ დასაღუპად გაწირა სააკაშვილის რეჟიმმა, რადგან ისეთი სულიერი ჭრილობა მიაყენეს, რომელიც, ალბათ, არასოდეს მოუშუშდებათ, როგორ უნდა ეპატრონა სამი პატიმრისთვის, 14 წლის გოგონას? თუმცა მათთვის, ნაცებისთვის, ადამიანი ხომ არაფერს წარმოადგენდა.

ისტორია მესამე, რომელიც ერთ-ერთ რეგიონში განვითარდა. სტუდენტი ინსტიტუტიდან ლექციების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა. გზაში მეზობელი შეხვდა მანქანით და გაიყოლა. როგორც აღმოჩნდა, მანქანაში კონტრაბანდული სიგარეტი ჰქონდა პატრონს. სტუდენტი ბიჭიც მასთან ერთად დააკავეს, როგორც თანამონაწილე. თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ იგი უდანაშაულო იყო. მიუხედავად ამისა, საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს, საკმაოდ დიდი თანხა გადაახდევინეს და პირობითი სასჯელიც მისცეს.

ნაცები კორუფციას დაბალ დონეზე ებრძოდნენ, თორემ იგივე კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანაში, როგორც მაშინ ამბობდნენ, იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი და გუბერნატორი იყვნენ მთავარი ფიგურები. ამიტომაც ცდილობდნენ კონკურენტების ჩამოცილებას. საერთოდაც, იგივე კონტრაბანდული სიგარეტი, რომელიც ტრაილერებით შემოჰქონდათ მაღალჩინოსნებს, პირდაპირ ციხის შესასვლელთან იყიდებოდა. პატიმრების პატრონები სწორედ იქ ყიდულობდნენ და გვიგზავნიდნენ ამ კონტრაბანდულ სიგარეტს. ამის უამრავი თვითმხილველი არსებობს და ტყუილში ვერავინ დაგვადანაშაულებს. ციხის ზოგიერთი თანამშრომელიც იმ სიგარეტს ეწეოდა. ესეც თქვენი კორუფციასთან ბრძოლა!

დღეს იმ რეჟიმის შემქმნელი ხალხი ცდილობს ხელისუფლებაში დაბრუნებას. სამწუხაროა,



მაგრამ მათ ჩვენ, ხალხიც ვეხმარებით. მათ შორის, რეჟიმისგან დაზარალებულები. ვეხმარებით, რადგან პასუხს არ ვთხოვთ ჩადენილ მრავალ დანაშაულზე (და არა შეცდომებზე). მიმოვიხედოთ, რამდენი ადამიანია ჩვენს გარშემო უსამართოლდ დასჯილი, იმჟამინდელი რეჟიმისგან გაძარცვული თუ შეურაცხყოფილი. ამ კრიმინალებს ვუთმობთ ტელევიზიაში დროს, ვეკითხებით აზრს, მაშინ, როდესაც ისინი პარლამენტში და ტელევიზიაში კი არა, ციხეში უნდა იხდიდნენ სასჯელს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ყველაფერი ISIS-ის – „ისლამური სახელმწიფოს“ „მსოფლიო სევდით“ შეპყრობილების, „წმინდა“ სიკვდილისა და თვითმკვლელი ტერორისტების – შაჰიდების შესახებ

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N27)

„ალ-ქაიდა“ ფსიქოლოგიური ტესტებით არჩევდა „თვითმკვლელობის მანიით“ და „მსოფლიო სევდით“ შეპყრობილებს, რომლებიც წარსულში „ალ-ქაიდასთან“ კავშირში შემჩნეულები არ იყვნენ. ასეთ შემთხვევაში გარანტირებული იყვნენ, რომ მათზე თვალთვალი არ ხორციელდებოდა და მისიის შერულებამდე არ გაიშიფრებოდნენ. ამჟამად „შაჰიდების კანდიდატთა“ მოძიება არ არის დაკავშირებული მათ რაიმე შესაძლებლობებსა თუ წვრთნების დროს მიღწეულ წარმატებებზე. ამჟამინდელი ძვირადღირებული ფსიქოლოგების და ჰიპნოზიორების პროფესიონალიზმის „დამკვეთებს“ აძლევს გარანტიას, რომ მათ მიერ „გაწვრთნილი“ შაჰიდი გადამწყვეტ მომენტში უკან არ დაიხევს და აუცილებლად თავს მოილავს.



2011 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების საგამოძიებო კომისიამ დადგინა, რომ ბინ ლადენი პირადად მონაწილეობდა „შაჰიდობის“ იმ კანდიდატების მომზადებაში, რომლებმაც ის საზარელი ტერაქტები განახორციელეს. მსოფლიოს ყოფილი ნომერ პირველი ტერორისტი მოსამზადებელ ბანაკებში ესწრებოდა ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ მსოფლმხედველობის საფუძვლების ლექციებს მანამ, სანამ არ დაინახავდა „კანდიდატის“ საბოლოო მზადყოფნას „თვითმკვლელობისთვის“ და საბოლოო ფიცს არ დადებდა, რომლის თანახმად იცოდა, თუ რა მისიის შესრულება მოუწევდა, თავადვე მონაწილეობდა ვიდეოჩაწერაში, სადაც აცხადებდა მზადყოფნას ალაჰისთვის თავგასაწირად.

ტერაქტის მომწყობთათვის მხოლოდ მოტივაცია დარჩა უცვლელი: დრო გადის და მსოფლიო ჯერაც ვერ გახდა მუსლიმანური, ისლამი განიცდის კრიზისს და „სჭირდება“ თავდადებულები; „თვითმკვლელობა“ ისლამისთვის ტანჯულ ნაწილთან მიახლოების და იმქვეყნიური „სამოთხის“ მოპოვების საწინდარია; სუიციდშია ხსნა; ამ ეტაპზე ჩვეულებრივ ცხოვრებაზე და ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობა არ ვარგა და მასზე უარი უნდა ითქვას“. – მიზანი მწვრთნელების მიერ წარმატებით ხორციელდება.

ამ თემატიკის მკვლევართა შორის ერთ-ერთია ჯესიკა შტერნი, რომელიც მიიჩნევს, რომ თვითმკვლელი ტერორისტები გადადიან ტრანსში ან ჰიპნოზურ მდგომარეობაში, რომლის დახმარებითაც ისინი ლიდერების ბრძანებას განუხრელად ასრულებენ.

ასევე ცნობილია, რომ ჰიპნოზის ზემოქმედების ქვეშ ყოფნას ვადები აქვს, ამიტომ ამ „არეალიდან“ გაქცევამდე უნდა მოხდეს მიზნის მიღწევა, რომელიც „ზეგავლენის დამთავრებამდე“ საკუთარი თავის დაჰიპნოზების სწავლებაშია, რომლის წყალობით „კანდიდატი“ მუდმივ ტრანსშია და ყოველგვარი „მოულოდნელობა“ მისგან გამორცხულია, რადგან თვითმკვლელობის იდეა მას „იდეისთვის თაგვანწირულ“ „ბრწყინვალე“ „მანათობელ“ „შეუდარებელ“ „არაჩვეულებრივ“ ადამიანად ხდის, რომლის უმაღლესი „ჯილდო“ წინ არის და მხოლოდ მას შემდეგ დადგება, რაც ის „შეუერთდება ისლამისთვის ტანჯულ ნაწილს“.

უბედურება ის არის, რომ წვრთნის ამ მეთოდის მსხვერპლად უკვე ბავშვები გვევლინებიან, როგორც მკვლელები, რითაც მესიჯი გაუგზავნეს არაისლამურ სამყაროს, რომ დაღუპვის საფრთხე ყოველი მხრიდან არის.

ჯესიკა შტერნის დასკვნით ტრანსცენდენტურობის გრძნობა ერთნაირად იპყრობს ნებისმიერ ასაკში, რაც იმაში გამოიხატება, რომ სიცოცხლე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური სხეულის შესაძლებლობები და თვითმკვლელი ტერორისტების გონებას „ასაჩუქრებენ“ იმით, რომ შთაგონებულით იღებენ ისეთივე სიამოვნებას, როგორც ჩვენ მაგალითად სიყვარულისგან, სილამაზისგან და ლოცვებისგან. „ალ-ქაიდას“ მიერ მომზადებული, მაგრამ „ხელმოცარულების“ თქმით, არის ორგაზმის მსგავსი განცდა, რომელიც ახლოს არის ნარკოტიკულ ზეგავლენასთან, რასაც იწვევს ლოგიკური კავშირების რღვევა და ემოციურ მიზნებზე დაყრდნობა.



ფსიქიკაში მსგავსი რადიკალური ცვლილებები მიღებულია დამკვეთების“ მიერ „მწვრთნელების“ და „საწვრთნელების“ სრულ კომფორტულ გარემოში მოქცევით, სადაც მათი ნებისმიერი სურვილი სრულდება დანარჩენი „მწვერთნელების“ საქმეა, რომლებიც სათანადო ზეგავლენას ახდნენ „კარგი ცხოვრებისგან“ მოდუნებულ სრულიად ფხიზელ, მაგრამ „ტრანსში“ მყოფებზე, რომლებსაც არასდროს არაფერს ეკითხებიან, არაფრით ღლიან, არ აწუხებენ, მხოლოდ სასიამოვნო გარემოში ყოფნით ატკბობენ და შედეგიც სწრაფი და ეფექტურია. შედეგი მომრავლებული ტერაქტები, რომლის მოწყობისთვის მზადმყოფი უამრავი „ტყვია“ მზადაა და საკუთრ რიგს ელოდება.

ამჟამად არსებული ვითარების მიხედვით, სამყაროს ამ ორგანიზაციაზე დაკვირვების გარდა არაფერი დარჩენია, რადგან ვინმეს ჩანერგვა, ან ახლოდან თვალთვალი პრაქტიკულად შეუძლებელია. მათთან გაწევრიანების შემდეგ მათზე მოხდენილი ფსიქოლოგიური ზეგავლენისგან გაქცევა და კიდევ „დამუშავება“ და მათთვის შთაგონებული რწმენის თანმიმდევრობის „შერყევა“ სსრულიად წარმოუდგენელია და იდეის „ბრმა ურყევ მიმდევრებად“ რჩებიან ნაადრევად (თვითმკვლელობის), თუ ბუნებრივი (რაც გამორიცხულია) სიკვდილამდე. ცალკეული „ჩანერგილებიც“ კი ვერ გაექცნენ მათ ჰიპნოზის დონეზე დამუშავებულ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდოლოგიას და ყოფილა შემთხვევა, თვითმკვლელის (შაჰიდის) ქამარი შემოუკრავთ და დავალების შესრულებისას ნებაყოფლობით მომკვდარან.

**— გადასაბირებლად რა კეთდება?**

— ცნობილია რომ სხვა ტერორისტული ორგანიზაცებისგან განსხვავებით „ისლამურ სახელმწიფოს“ ძალიან კარგად აქვს ორგანიზებული „პროპაგანისტული მანქანა“, პიარი, რომლის ფარგლებში თანამდეროვე მაღალტექნოლოგიური მეთოდოლოგიით უმაღლეს პროფესიულ დონის ფილმები. აშკარაა მათ რიგებში განვითარებული ქვეყნებიდან ჩასული მოხალისეების, ამ დარგის პროფესიონალების, ამ საქმის კარგად მცოდნეების სიჭარბე და ეს მათი დამსახურებაა. ასევე მაღალია მათი იდეების პოპულარობისთვის გამოქვეყნებული მასალების პოლიგრაფიული დონე, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ვრცელდება და თვით პაკისტანის და ავღანეთის მოსაზღვრე რეგიონებშიც კი არის დაფიქსირებული.

**— სანაცვლოდ ისეთს რას ჰპირდებიან, სიცოცხლის ასე იოლად რომ ელევიან?**

— ცნობილია, რომ მამაკაცებს სამოთხეს ჰპირდებიან იმ და ამ ცხოვრებაში, მაგრამ ქალებისთვის არაფერ განსაკუთრებულ პირობებს არ სთავაზობენ, მაგრამ „თვითმკვლელად“ გახდომის მსურველების რაოდენობა მამაკაცებისას არ ჩამოუვარდება. ამასთან, რისთვის გამოიყენებდნენ, მომავალ „ტყვიას“ წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ ამჟამად ყველასთვის ცნობილია, რისთვისაც ამზადებენ ფსიქოლოგიური ზეგავლენის შემდეგ და მაინც, მზად არიან მსხვერპლად გაიღონ საკუთარი სიცოცხლე და ერთადერთი დაუძლეველი სურვილი ამოძრავებთ, რაც შეიძლება სწრაფად „აფეთქებით“ მიზანს მიაღწიონ და უხილავი მბრძანებელის დავალება განუხრელად შეასრულონ. „ტყვიის“ ფუნქციის შესრულება მათი აკვიატებული იდეაფიქსი ხდება, რომლისკენ მიილტვიან, როგორც მოჯადოებული ვირთხები კობრის პირისკენ.

**— და მაინც, რა დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები, ვინ არიან მათი მხარდამჭერი?**

— ამ ბოლო დროის მონაცემებით, არის ვარაუდი, რომ „ისლამისტები“ („ისლამური სახელმწიფო“) დამოუკიდებლად მოქმედებს. მისი მოძრაობის მიხედვით ჩანს, რომ დაფინანსება ბლომად აქვს და შეიძლება ეს იყოს მისი დამოუკდიებლობის მიზეზიც, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ თუ მსურველი გამოუჩნდება, ვინმე კონკრეტულის მხარეს არ დადგება და მის სურვილებს არ შეასრულებს. ასეა, თუ ისე, „ისლამისტების“ ასეთი „წარმატება“ სწორედ ფულადი სახსრების დაუზოგავად ხარჯვით არის მიღწეული. არის მოსაზრება, რომ ის საკუთარი წევრების კრიმინალური საქმიანობიდან და სუნიტური მუსლიმანური ქვეყნებიდან ფინანსდება. ასევე მათი შემოსავალი მკვეთრად გაიზარდა ერაყის თავდასხმისას გაძარცვული ბანკებიდან. ერაყის ცენტრალური ხელისუფლების განცხადებით მათ 7 მილიარდი დოლარი მიითვისეს. ხოლო ერაყელი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ საუდის არაბეთიდან იღებს დაფინანსებას, თუმცა დაფინანსების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს ისევე, როგორც ოფიციალურად დამკვეთის ზუსტი ვინაობა.

ხოლო რაც შეეხება თანამედროვე „წვრთნას“ ხარჯი დაახლოებით ასე გამოიყურება: „კანდიდატს“ ფიცის დადებამდე არაფერს უხდიან, სამაგიეროდ უზრუნველყოფენ მის მიყვანას „აღთქმულ“ ადგილამდე,

12 გვ. →

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ #15)

თეოლოგიური მითოლოგიის მიხედვით, კოლხეთი მზის ღმერთის ჰელიოსის შვილის სამეფოა. ამ ჯაჭვის მიხედვით, კოლხეთის მეფის, აიეტის მამა ჰელიოსია, რომელიც მსოფლიოს ანათებს...

კოლხურ კოსმოგენურ ეპოსს ათასწლეულებია საიდანღაც მოაქვს, რომ ციური მნათობები, მზე და მთვარე მათი დედ-მამაა, ვარსკვლავები კი მათი და-ძმა, რამაც გააჩინა ჰიპოთეზა (სხვა ყველაფერ ზემოთთქმულთან ერთად), თვით კოლხები ხომ არ იყვნენ იმ ხალხის პირდაპირი შთამომავლები რომლებიც „ციდან ჩამოვიდნენ“?

2011 წლის ივლისში სააგენტო „ღეუტერს-მა“ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა, რომ ციურიხში მდებარე გენეალოგიური კვლევების ცენტრმა iGENEA ტუტანჰამონის დნმ-ის კვლევის შედეგები გადასცა ეგვიპტელ კოლეგებს. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტის ფარაონი ტუტანჰამონი, ეგვიპტის მე-18 დინასტიის შთამომავალი, კავკასიელი, დიდი ალბათობით, ქართველი იყო. რა იყო იმის მიზეზი, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები მსოფლიო ფართო განსჯის საგანი არ გახდა, გასაგებია, მაგრამ თვით საქართველოში რომ წაუყრუეს, ეს უკვე გასაოცარია. ნებისმიერი ქვეყანა და ნებისმიერი ერი იამაყებდა ამგვარი აღმოჩენით, საქართველო კი კიდევ ერთხელ დამუნჯდა საკუთარ ისტორიაზე და მხოლოდ მას მერეღა დაიწყეს ოთხი წლის წინანდელი ინფორმაციის ფრიალი, თითქოს ახალთახალი ამბავი იყო, რაც რუსულმა მედიამ გაავრცელა.

ეგვიპტის რესპუბლიკის სიძველეთა უმაღლესი საბჭოს გენერალური მდივნის ზაჰი ჰაავასის განცხადებით, ტუტანჰამონის მუმიის გაკვეთა განსაკუთრებული სიფრთხილით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მუმია არ დაზიანებულა. დნმ-ის სინჯი აიღეს მარცხენა მხრისა და მარცხენა ფეხის ძვლოვანი ქსოვილიდან. მისი თქმით, მთავარი მიზანი იყო დადგენა და ნათელის მოფენა ფარაონის ოჯახის ნათესაური კავშირებისა, რომელიც ძალზე არეულია, საიდუმოებებითაა მოცული მრავალრიცხოვანი ინცესტების გამო. ფარაონის დნმ-ის ევროპელებთან შედარებამ დაადგინა, რომ მას ევროპელებთან გაცილებით მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე ეგვიპტელებთან (1%). ბიოლოგების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თანამედროვე ეგვიპტელები საერთო მასაში დეგრადირებული ფარაონის შთამომავლები კი არ არიან, პირიქით, არავითარი საერთო არ აქვთ თავიანთ უძველეს მმართველებთან.

ტუტანჰამონის მუმიის გაკვეთის მონაწილე მეცნიერმა რომან შოლცმა განაცხადა, რომ ეგვიპტელი ფარაონებისა და ევროპელი ადამიანების საერთო წინაპარი 9500 წლის წინ კავკასიაში ცხოვრობდა. დაახლოებით 7000 წლის უკან მათი პირდაპირი შთამომავლები განსახლდნენ ევროპაში, რაღაც ნაწილმა კი მიაღწია ეგვიპტემდე და შემდეგ „იბარტყა“ ფარაონებად...

გამოდის, რომ დაწყებული ტუტანჰამონის ბაბუის, ბაბუის ბაბუისგან და მისი ჩათვლით იყვნენ კავკასიელები. რაც შეეხება ევროპელებს, გენეტიკური თვალსაზრისით არცთუ ძლიერ დაშორებიან წინაპარ კავკასიელებს.

ტუტანჰამონის მუმიის გარდა მეცნიერებმა გამოიკვლიეს კიდევ 16 მუმიის დნმ და მათ შორის ახლო ნათესაური კავშირის დადგენას შეეცადნენ. დადასტურებულად აღმოჩნდა, რომ ტუტანჰამონი მართლა მამამისის, ეხნატონის შვილია და ამენჰოტეპ III-ის შვილიშვილი. მეცნიერებმა მიაკვლიეს ბებიას, თაიასაც, ეხნატონის დედას. დედის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ გავრცელებულა, ანუ უცნობია ვინ არის ქალის მუმია, ეხნატონის და თუ თვით ნეფერტიტი, მამის პირველი ცოლი.

აღნიშნული კვლევითი ცენტრის აზრით, აგროკულტურის განვითარებამ გამოიწვია ამ ჯგუფის ხალხების მიგრაცია კავკასიიდან ევროპაში, მაგრამ ვერ ხსნიან როგორ მოხვდნენ ტუტანჰამონის წინაპრები კავკასიიდან ეგვიპტეში.


ექნატონი და ნეფერტიტი

არანაკლებ საინტერესოა თუთანქამონის ხანჯალი, რომელიც მისი სარკოფაგის გახსნისას აღმოაჩინეს. ტურინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის პროფესორი ფრანჩესკო პორჩელი, რომელიც ექსპერტიზაში იღებდა მონაწილეობას, აღნიშნავს, რომ 35 სმ სიგრძის ხანჯალი, რომელიც მუმიის სახვევებში აღმოაჩინეს, პოლემიკას იწვევდა სამეცნიერო წრეებში.

„ძველ ეგვიპტეში რკინის ნაკეთობები ცოტა იყო. ეს მასალა ოქროზე მეტად ფასობდა. საოცარია, რომ ადრე არავის მოუვიდა აზრად ამ შენადნობის ანალიზის გაკეთება. რენტგენის სხივების მეშვეობით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხანჯლის მასალა 10% ნიკელს და 0,6% კობალტს შეიცავს. ამგვარი შენადნობი მეტეორიტებისთვის არის დამახასიათებელი. იმ ეპოქაში მისი ხელოვნური გზით მიღება ყოვლად შეუძლებელი იყო,“ — ამბობს პორჩელი.






ტუტანჰამონი

მისი თქმით, მეცნიერებმა თუთანქამონის ხანჯლის შესახებ მხოლოდ 2010 წელს ეგვიპტის უდაბნოში მეტეორიტული კამილის კრატერის შემდეგ გაიხსენეს. „ციდან ჩამოვარდნილი რკინის“ შესახებ ერთ-ერთ ცნობილ ძველ ეგვიპტურ პაპირუსში წერია, მაგრამ ხანჯლის არამიწიერი წარმომავლობის შესახებ არავის უფიქრია. საინტერესოა, რომელი ცივილიზაციის წარმომადგენლის დამზადებული შეიძლება იყო მეტეორიტული, ანუ ციური მასალისგან ფარაონის ხანჯალი, მათივე ხომ არ არა, ვინც „ციდან მოსულები“ ან მათი დანატოვარები იყვნენ დედამიწაზე?


ტუტანჰამონის ხანჯალი

სხვათაშორის, უფოლოგები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ „ბიჭი“ (თუთანქამონი) უცხოპლანეტელების გენეტიკური კვლევების მსხვერპლად იქცა. ჰაავასმა დაადასტურა, რომ ასეთი სკანდალური ჰიპოტეზებიც არსებობდა, მაგრამ ისინი დაფუძნებული იყო მხოლოდ ფარაონის გარეგნულ დაკვირვებებზე და არა ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. არ მგონია, თუთანქამონში რაიმე უცხოპლანეტური იყოს, რასაც ვერ ვიტყვი დარწმუნებით ბიჭის წინაპრებზეო — თითქოს არანაკლებ სკანდალურად საინტერესო თქვა...

„ისტორიის მამა“, ჰეროდოტე წერდა, რომ ეგვიპტელები და კოლხები მონათესავე ხალხები არიან, მხოლოდ ისინი ამუშავებდნენ სელს ერთნაირად; ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ, ასევე, თმა, კანის ფერიო... და ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელები სკვითების დამარცხების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ, როდესაც მეფე სესოსტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლად, მდინარე ფაზისთან. ამ აზრს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სიმონ ყაუხჩიშვილი, რაკიღა ეგვიპტე არის ჰეროდოტესთვის ძირითადი წყარო თითქმის ყველაფრისთვის, კოლხთა თავდაპირველ სამშობლოდაც ეგვიპტე მიაჩნიაო. და აი, უახლესი მეცნიერული კვლევით დასტურდება, რომ კავკასიიდან წასულან ეგვიპტეში...

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სანამ ციურიხის გენეალოგიური კვლევების ცენტრი ამ ინფორმაციას გაავრცელებდა, ბევრად ადრე ამტკიცებდა ცხონებული კლიმენტი შელია, რომ კლეოპატრამდე ეგვიპტის

12 გვ. →

# ყველაფერი „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ

10 გვ.

სადაც „წვრთნა“ უნდა გაიარონ და პირდებიან, რომ „ყველაზე საუკეთესო“ მისი დასრულების შემდეგ დაიწყება. მართლაც, ადგილზე ჩასულებს ამქვეყნიური სამოთხე ხვდებათ: მაღალი კლასის სასტუმრო... და ყველაზე მთავარი, სწავლება, რომელზეც პრაქტიკულად არაფერი აქვთ საკეთებელი, მოეთხოვებათ მხოლოდ მოდუნდნენ და მოისმინონ...

— **თუ ყველაფერი ასე გასაიდუმლოებულია, რის მიხედვით კეთდება დასკვნები?**

— არის მონაცემები, რომელიც ზოგადი ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომლის თანახმად შეიძლება იმსჯელო ბევრ რამეზე. მათ შორის „ისლაური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებული სარეკლამო ფილმების მიხედვით ჩანს, რომ ამკვიდრებენ შარიათის კანონებს და ამ მიზნით „რელიგიური პოლიციაც“ კი შექმნეს, რომელთა მოვალეობაა რელიგიური მოთხოვნების განხორციელებისთვის თვალყურის დევნება და „უსაქციელობის“ გამოსწორება. ასევე კარგად ჩანს, შეიარაღებულები როგორ აძლევენ შენიშვნას მოქალაქეებს, თან აფრთხილებენ, რომ ჯერ „ტკბილი ენით“ უხსიან და თუ არ გაითვალისწინებენმაშინ დასჯიან, რაც „დახრეტას“ ნიშნავს. იქიდანვე ჩანს, რომ შურის საძიებლად განსაკუთრებით ეძებენ ჩინოვნიკებს, რომელთა აღმოსაჩენად და დასასჯელად „სპეცდანიშნულების“ რაზმი ჰყავთ. ოკუპირებული ტერიტორიების დასახლებული პუნქტებიდან სრულიად გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ ქალები და გადაუმოწმებელი ინფორმაციით საკონცენტრაციო ბანაკებში ამუშავებენ, ხოლო „არაკეთილსაიმედოდ“ მიჩნეულ მამაკაცთა უმრავლესობას ადგილზე ხვრეტენ.

წარმონაქმნი „ისლამური სახელმწიფო“ მიუღებელია როგორც დასავლური ცივლიზაციის, ასევე მუსლიმანური სამყაროს დიდი ნაწილისთვის, ამიტომაც ამ იდეას განწირულად მიიჩნევს მთელი ცივილური სამყარო, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ისლამის სახელით ჯერჯერობით აკეთოს „ბნელი საქმეები“.

— **რას ნიშნავს „ჯერჯერობით“?**

— ჯერჯერობითო“ იმიტომ ვამბობთ, რომ ავღანეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მათთან ბრძოლა შეიძლება, მაგრამ სავარაუდოდ, დამარცხება იოლი არ იქნება, რადგან პარტიზანული ტიპის ბრძოლა სასტიკი და ხანგრძლივია. ხოლო წლების წინ დაწყებული ბრძოლა საერთშორისო ტერორიზმთან და რადიკალური ისლამის, როგორც გლობალური უსაფრთხოების სისტემისთვის საფრთხედ ჩამოყალიბება, კვლავ აქტუალურია. მაგრამ „ალ-ქაიდასთან“ შედარებით ისლამური სახელმწიფო გაცილებით მასშტაბური და სასტიკია.

საფრთხე ოკუპირებული რეგიონისთვის უფრო ახლო და სახიფათოა, მაგრამ მათი სწრაფად შეჩერება გაჭირდება, რადგან მათ შეჩერებაზე მეტად არის შანსი, რომ მთელ მსოფლიოში გავრცელდება, რადგან სამყაროს ნებისმიერ კუთხეში სუნიტურ მოძღვრებას მიმდევრები ბლომად არის, ხოლო ტერორისტული ეს ორგანიზაცია დიდ იმედებს სწორედ ადგილობრივებზე ამყარებს და ამისთვის დიდი ფულის გადახდაზე თანახმაა.

თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად ისლამისტების მიერ გაკონტროლებული ტერიტორებმა კლება დაიწყო, მაგრამ ეს არ კმარა, რადგან ჯერ კიდევ ფლობენ ოკუპირებული ქვეყნების საკმაო მოცულობის ტერიტორიებს, რომელიც სულიად საკმარისია მათი იდეების გასავრცელებლად და ტერორიზმის წამახალისებლად რაც მსოფლიოს გლობალურ რეალურ საფრთხედ შეიძლება იქცეს.


ჯესიკა შტერნი

— **ამ ფონზე საქართველოსთვის საფრხე როგორ გამოიყურება და რას შეიძლება მოველოდეთ?**

— აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში 2014 წელს ნათქვამია: „კავკასიელები „ხალიფატს“ მნიშვნელოვან საბრძოლო რესურსად და გეოპოლიტიკაზე ზეგავლენისთვის დამატებით კერად სჭირდება“. ხოლო აბდულ რიჰად მუჰამედოვი - ისლამოლოგი - 2015 წლის 4 თებერვალს წერდა, რომ: ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე არსებობს „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფება, ის გარკვეულწილად საფრთხის შემცველია საქართველოსთვის, რადგან საჭიროების შემთხვევაში დაღესტნის ტყეებში ყოფილ „ემირატელებს“ არ გაუჭირდებათ საქართველოს საზღვრების გადმოლახვა, რადგან როგორც წესი, ყველა ის ბილიკი იციან, რომელიც საქართველოში უსაფრთოდ გადმოსვლის საშუალებას იძლევა. საქმეს ართულებს ისიც, რომ „ისლამურ სახელმწოფის“ საქართველოშიც ჰყავს „მიძინებული იატაკქვეშა“ ჯგუფები ძირითადად პანკისის ხეობაში. თუმცა აქაურ ადგილობრივ ჯამაათში განხეთილებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების ერთი ნაწილის მიერ სკაიპით „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ფიცის მიცემას“. საქმე ეხება ჯამაათის წევრების განხეთქილებას, თუ ვის უნდა მიემხრონ ადგილობრივი ახალგაზრდები ხალიფატურ „ისლამურ სახელმწიფოს“ თუ ასევე არსებულ „ემირატულს“.

ტერორისტების გრძელვადიანი მიზანია პირველ რიგში შეიერთონ ლევანტი ლიბანი, ისრაელი, პალესტინა, იორდანია, კვიპროსი, სამხრეთ თურქეთი. ისის ცდილობს შექმნას შარიათზე დამყარებული ერთიანი ტრანსნაციონალური ისლამური სახელმწიფო. მსოფლიო აბსოლუტური ბატონობა; ერაყიდან აშშ-ს ძალების გაძევება; ისლამური ხელისფულების – ხალიფატის დამყარება; ერაყის კონფლიქტის გადატანა ახლო სამეზობლო ქვეყნებში და ასევე არაბულ-ისრაელურ კონფლიქტში მონაწილეობა.

სამწუხაროდ: ამ ბოლო დაჯგუფების რიცხვი განუხრელად იზრდება უცხოელი მებრძოლებით, რომლებიც შეიძლება სულ სხვა მიზნით მიდიან და წევრიანდებიან, მაგრამ მალე აღმოჩნდებიან ორგანიზაციის ზეგავლენის ქვეშ და მონაწილეობან მათი მიზნის განხოციელებაში. კერძოდ: სხვა ორგანიზაციების ბაზაზე „ისლამური სახელმწიფოს“ დაუყოვნებლივ შეუერთდნენ არა მხოლოდ ერაყისა და სირიის მოქალაქეები, არამედ თურქეთიდან, ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩასული სუნიტი მუსულანები, თურქული მედიის ინფორმაციით 1000-მდე თურქეთის მოქალაქე გადაიბირეს ისლამისტებმა, რომლებიც ჯერ სირიაში იბრძოდნენ და შემდეგ უკვე ერაყში. ამჟამინდელი ინფორმაციის თანახმად, „ისლამის სახელმწიფოს“ არმია დაახლოებით 31 000 ადამიანისგან შედგება, ხოლო საფრთხეების მასშტაბებზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება.

— **გმადლობთ.**

**ქეთევან ჩემია**
599 57 12 90



# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

11 გვ.

ყველა ფარაონი კოლხი (ქართველი) იყო.

კლიმენტი შელია: — „ძვ. წ XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდ. საქართველოს სამეფოს, მითანის (მითანის მთიანეთი) მეფე იყო რატი, მთავარსარდალი — ართაშური. რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ, ფარაონმა ექნათონმა (ექნათონ-აჩინა, ეხნატონი), „მეფე-ერეტიკოსმა“ შეირთო ცოლად.

1911 წელს, გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორჰარდტმა ქალაქ ახეტატონში (ქალაქი ბენი ჰასანიდან სამხრეთით მდებარეობს და ეხნათონმა ააგო როგორც ახალი დედაქალაქი. მან ეგვიპტის ღმერთების თაყვანისცემა აკრძალა და ერთი ღმერთის, ატონის კულტი დააწესა. მრავალღმერთიანობა მხოლოდ „ექნატონ ამარნას პერიოდის“ შემდეგ აღდგა) ეხნათონის მეუღლის, ნეფერტიტის კარის მოქანდაკის თუთმოსის სახელოსნოს ნანგრევებში აღმოაჩინა ექნათონის ოჯახის წევრების: ფარაონ ექნათონის მამის, ამენჰოტეპ III-ის პორტრეტი და ნეფერტიტის მცირე ზომის კირქვის ქანდაკება და მისი ორი პორტრეტი, ერთი — თაბაშირის, მეორე კი გრანიტისგან დამზადებული. აღმოჩენებს შორის მნიშვნელოვანი იყო ნეფერტიტის ბიუსტი, რომლის შესახებაც ბორჰარდტმა დღიურში ჩაწერა: „იგი ცოცხალივით სუნთქავს... მისი აღწერა შეუძლებელია, იგი უნდა ნახო...“


ტუტანჰამონის და ანაქსუნამუნის ქანდაკებები ლუქსორის ტაძარში

2006 წელს გამოცემულ „ეგვიპტოლოგიაში“ მოცემულია ეგვიპტური გვირგვინების ფოტოები და ისტორია. როგორც ზედა და ქვედა ეგვიპტის მეფე, ფარაონი ორმაგ გვირგვინს ატარებდა. ეს გვირგვინი, თეთრი — ზედა ეგვიპტის გვირგვინისა და წითელი — ქვედა ეგვიპტის გვირგვინისგან შედგება. (ლურჯი გვირგვინი „ომის გვირგვინადაც“ მოიხსენიება, რადგან ამ გვირგვინით მებრძოლი სეთი I და მისი ვაჟი რამზეს III მრავალგანაა გამოსახული.) ასეთი გვირგვინი ადგას თათუ ნეფერტიტსაც, რომელიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ფარაონი გახდა. ნეფერტიტის ყველა ქანდაკება და პორტრეტი ამ გვირგვინითაა შესრულებული — სწორედ ასეთი გვირგვინი ეხურა ჩვენი ქვეყნის (კოლხეთის) დიდ მეფეს, ანმარეს!

ქვეყანა მითანის ქალაქი იყო „ფაზისურა“, რაც „ვენახოვანს“ ნიშნავს. იმავე მნიშვნელობის იყო სახელწოდება „ბაბილონი“ (ბაბილო — ვაზის ლერწამი, რტო), რაც შემდგომში თვით სამეფოს სახელწოდებაზე გავრცელდა. ბაბილო, ბაბილონი — საქართველოს (კოლხეთის) სხვა დედაქალაქის შესატყვისი სახელწოდებაც იყო.

მაგალითად, დედაქალაქ კოლხას სახელი დაერქვა ჯერ როგორც ვრცელი ქართული კუთხის მხარეს, შემდგომში კი დიდ ქართულ სამეფოს — კოლხეთს. ახ. წ VIII საუკუნეში დაარსებულ ქალაქ ბაღდადს ხშირად ბაბილონადაც მოიხსენიებდნენ... (ბაბილონი ბაღდადიდან სამხრეთით 90 კმ-ზე მდებარეობს. აღნიშნავენ, რომ სახელი წარმომდგარი უნდა იყოს ბაბილი-სგან, რაც „ღმერთის კარიბჭეს“ ნიშნავს...)

თათუს, მას შემდეგ, რაც ფარაონის მეუღლე გახდა, (თანამოსაყდრედ ჰყავდა უფროსი ქალიშვილი ანქისეპა — ანუნა) ჩვეულებისამებს, ახალი სახელი დაარქვეს — „ნეფერტიტი“, რაც მკვლევართა აზრით, უცხოეთიდან ჩამობრძანებულ ლამაზ ქალბატონს უნდა ნიშნავდეს. მისი გარდაცვალების (მუმია შემონახულია ქიმეთის მეფეთა პანთეონში) შემდეგ ფარაონის ტახტზე 8-10 წლის თუთანქი (თუთანქამონი) დასვეს, რომელიც ნათესავების, უპირველესად იმდროინდელი საზომით პრემიერ-მინისტრისა და უმაღლესი ქურუმის, აიეს მეშვეობით მართავდა ქვეყანას. აიე (ეიე, აია) — უმაღლესი კოლხი ქურუმი, მეფე რატის ძმა...

**(გაგრძელება იქნება)**

# ერნესტ კოქსი – ჩაძირული ფლოტის მფლობელი

**1924 წელს ვინმე ერნესტ კოქსი პრაქტიკულად გერმანიის მთელი ფლოტის მფლობელი გახდა. ოდესღაც ჯართით მოვაჭრე უცნობმა გამგებლობაში მიიღო რამდენიმე უზარმაზარი სახაზო ხომალდი და კრეისერი, ასევე სამი ათეული საესკადრო ნაღმოსანი. თუმცა ყველა ეს ხომალდი სკაპა-ფლოუს ყურეში იყო ჩაძირული...**





### თვითმკვლელობა

1918 წლის ნოემბერში გერმანიამ ომი საბოლოოდ წააგო. მშვიდობის პირობების თანახმად, კაიზერის მთელი ფლოტი — სამოცდა თოთხმეტი საბრძოლო ხომალდი, საკუთარ ბედს ბრიტანული კრეისერების დაცვის ქვეშ მყოფი ელოდა სკაპა-ფლოუს უზარმაზარ ყურეში. თუმცა, კაპიტულაციის აქტის ოფიციალურ ხელმოწერამდე არც ერთ ბრიტანელ ოფიცერს არ ჰქონდა უფლება, გერმანულ ხომალდზე ასულიყო.

19 ივნისს აქტს ხელი მოეწერა, 20 ივნისს კი, შუადღისთვის სახაზო კრეისერ „ემდენზე“, კონტრ-ადმირალ ფონ რეიტერის ფლაგმანზე, გადაიცა დათქმული ნიშანი, რომელიც წინასწარ იყო შეთანხმებული დატყვევებული სამხედრო ხომალდების მეთაურებთან. ოფიცრები კრეისერების ტრიუმებისკენ დაიძრნენ და დაიწყეს კინგსტონების, წყლის შემაკავებელი კლაპანების და ტორპედოს აპარატების სახურავების გახსნა, მექანიზმების დაზიანება და განადგურება.

მოულოდნელობისგან გაშეშებული ბრიტანელი მეზღვაურები გაოცებით ადევნებდნენ თვალს, როგორი საშინელი ხმაურითა და ღრჭიალით ეშვებოდა ფსკერისკენ ხომალდები...

გონს მოსულმა ინგლისელებმა მტრის მხოლოდ რამდენიმე ხომალდის გადარჩენა მოახერხეს, ხოლო ორმოცდაათამდე ხომალდი, მათ შორის 750 ტონის წყალწყვის ნაღმმზიდი და სახაზო კრეისერი „გინდენბურგი“, რომელიც 28 ათასი ტონა წყალწყვის იყო, წყალში ჩაიძირა 20-30 მეტრის სიღრმეზე.

### უიმედო საქმე

ბრიტანეთის მთავრობა გაშმაგებული იყო, რადგან ომის შემდეგ ინგლისში ლითონის დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა. ინგლისელები იმაზეღა ფიქრობდნენ, როგორ დაებრუნებინათ კანონიერი ალაფი და ჯართად ექციათ.

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. საადმირალოს ოფიციალურმა კომისიამ გამოკვლევები ჩაატარა და წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც ნათქვამი იყო: „ოპერაციის უზომო სიძვირის გამო გერმანიის ხომალდების წყლიდან ამოღების საკითხი არ განიხილება და რადგან ნაოსნობასაც არ უშლის ხელს, მათი აფეთქებაც არ არის საჭირო“.

საკითხი თითქოს დაიხურა, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ საადმირალოს ჩინოვნიკების წინაშე წარსდგა ორმოციოდე წლის მამაკაცი და შესთავაზა მიეყიდათ მისთვის მისაღებ ფასად ორიოდე ჩაძირული გერმანული სახაზო ხომალდი და ორი-სამი ათეული ნაღმმზიდი.

ერნესტ კოქსმა ცამეტი წლის ასაკში დაანება სკოლას თავი და „ხალხში გაერია“, ოცდაათი წლისთვის კი უშრეტი ენერგიის წყალობით ჩამოაყალიბა ფირმა, რომლიც საშუალებითაც სამ საკითხს წყვეტდა: სად ეყიდა იაფად დაჟანგული ტექნიკა,



როგორ დაეჭრა ნაწილებად და სად გაეყიდა მიღებული ჯართი.

ცხოვრებაში კოქსს არაფერი მსგავსი არ გაუკეთებია, მაგრამ სკაპა-ფლოს ფსკერზე არსებულმა ლითონის უზარმაზარმა რაოდენობამ, რომლის წყალობითაც წარმატებული მეწარმე შეიძლებოდა მილიონერი გამხდარიყო, მისი გონება ააფორიაქა.

ჩინოვნიკები პატიოსნად მოექცნენ კოქსს, შესთავაზეს არსაიდან მოსულ მეწარმეს, წაეკითხა უმაღლესი კომისიის მოხსენება, სკაპა-ფლოუში ყველაფერი შეემოწმებინა და მერე გადაეხადა ფული. თუმცა, უკვე მეორე დღესვე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას.

გეგმა უბრალო და, დილეტანტის თვალსაზრისით, გენიალური იყო: რამდენიმე კვირის განმავლობაში ჯერ ამოეღოთ მცირე ზომის ნაღმმზიდები. მათი რეალიზაციით მიღებული ფულით ამოეყვანათ „გინდენბურგი“, შემდეგ მისი გიგანტური კორპუსი გამოეყენებინათ, როგორც პონტონი, რაც დანარჩენი კრეისერების ამოყვანას გააადვილებდა. კოქსის გათვლით, მთელი ოპერაცია 1924 წლის მარტიდან დაწყებული, რამდენიმე თვე უნდა გაგრძელებულიყო. ...გერმანული ფლოტის წყლიდან ამოტანის ეპოპეამ კოქსის ცხოვრების რვა წელი შეიწირა...

### კატასტროფა

პროცესი ასე გამოიყურებოდა: სამუშაოების ჩატარების ადგილას მიაცურებდნენ მოძრავ დოკს, ჩაძირული ხომალდის ფსკერზე მაგრდებოდა უძლიერესი ტროსები. შემდეგ მყვინთავები ხომალდში ყველა ნახვრეტს გმანავდნენ, ამის შემდეგ კომპრესორები ტრიუმებს ჰაერით ავსებდნენ და ჩაძირული ხომალდი ზედაპირზე ამოდიოდა. თუმცა, გუნდისა და მისი ხელმძღვანელის გამოუცდელობის გამო პირველი ნაღმმზიდის ამოსაყვანად მთელი ნახევარი წელი დასჭირდათ...

შემდეგ კი საქმე უფრო სწრა-



ფად წავიდა. 1926 წლის მაისში ფსკერიდან ამოიღეს ბოლო საესკადრო ნაღმოსანი და ჯართად გაყიდეს. თუმცა გასავალი შემოსავალს აჭარბებდა და კრედიტორები საქმოსანს უკვე ამრეზით უყურებდნენ. კოქსმა „გინდენბურგის“ ამოტანა გადაწყვიტა, რაც მთლიანად დაფარავდა მის დანახარჯებს.

კიდევ ნახევარი წელი და ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი დასჭირდა კოქსს, რომ კრეისერის უზარმაზარი სხეული წყლის ზედაპირზე აღმოჩენილიყო. ტრიუმფამდე ერთი ნაბიჯიღა იყო, ბანკები კვლავ მზად იყვნენ წარმატებული ბიზნესმენისთვის კრედიტები მიეცათ, მაგრამ ამ დროს საქმეში ამინდი ჩაერია. მოულოდნელმა ქარიშხალმა საბუქსირე ტროსები გაწყვიტა და მყვინთავების ყველა კატერი გაანადგურა. დიდი წვალების შემდეგ წყლის ზედაპირზე აღმოჩენილი „გინდენბურგი“ კვლავ წყალქვეშ ეშვება. კოქსი გაკოტრების პირასაა.

ერნესტ კოქსი უკანასკნელ ნაბიჯს დგამს: იგი, ფაქტობრივად, ატყუებს კრედიტორებს და ვალს იღებს იმ ხომალდის გარანტიით, რომელზეც ჯერ მყვინთავებს ფეხიც კი არ დაუდგამთ. „ფონ მოლტკე“ უფრო მსუბუქია და გათვლა ამაზეა აგებული. თუმცა, თუ ეს ოპერაცია ჩავარდებოდა ან ფინანსები არ ეყოფოდა, კოქსის სამეწარმეო კარიერას კრახი ელოდა.

### სავალალო სიგნალი

1927 წლის განმავლობაში რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა „მოლტკეს“ ამოტანა მოხერხდა, მაგრამ ხომალდის მიერ წაყენებული „პირობების შესაბამისად“ — ფსკერით ზევით, რაც ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან მოუხერხებელი იყო.

თუმცა მთავარი თავგადასავლები ჯერ კიდევ წინ იყო. ვიდრე „მოლტკეს“ საადმირალოს მიერ ნათხოვარ დოკში შეიყვანდა და ნაწილებად დაჭრიდა, კოქსს ის ჯერ მდინარეში უნდა შეეყვანა და ხიდქვეშ გაეტარებინა. ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში კოქსის მიერ დაქირავებულმა ორმა ლოცმანმა იჩხუბა, ბუქსირების კაპიტნებმა ბრძანებები ვერ გაიგეს და ხიდის ბურჯების დანახვისას პანიკაში გადაჭრეს ბაგირები და სხვადასხვა მხარეს გაცურეს.

შედეგად, კრეისერის უზარმაზარი სხეული, რომელიც 23 ათას ტონას იწონიდა, უმართავი, ფსკერით ზევით თავისი სვლით გავიდა ხიდის საყრდენებს შორის. ამის შემხედვარე კოქსი გაჭაღარავდა. საკმარისი იყო, ხომალდი რაიმეს გამოდებოდა, კატაასტროფა გარდაუვალი იქნებოდა!

თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ბოლო წინააღმდეგობად საზღვაო ჩინოვნიკი იქცა, რომელმაც განაცხადა, რომ არ დაუშვებს დოკში აყირავებულ ხომალდს. აჟიოტაჟში კოქსმა ხელი მოაწერა საბუთს, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი მზად იყო, აენაზღაურებინა ნებისმიერი ზარალი, რომელსაც „მოლტკე“ დოკს მიაყენებდა. როცა კოქსს საადმირალოდან „მიყენებული ზარალის ანგარიში“ მოუტანეს, საბოლოო გრაფაში ეწერა „ზარალის“ თანხა რვა გირვანქა სტერლინგი.

კიდევ ოთხი წელი იყო დაკავებული „თავისი“ ფლოტით კოქსი. ერთმანეთის მიყოლებით ამოჰქონდათ წყლის ზედაპირზე კრეისერები „ზეიდლიცი“ და „ფონ დერ ტანი“, გადამღობი გემი „ბრემზე“ და სახაზო ხომალდი „კაიზერი“. ბოლოს და ბოლოს კოქსის გუნდი გაუმკლავდა „გინდენბურგს“...

საბოლოოდ სახაზო ხომალდ „პრინც-რეგენტი ლუიტპოლდის“ ამოტანისას ტრაგედია მოხდა — გარდაიცვალა კოქსის ერთი თანამშრომელი. ეს იყო პირველი უბდური შემთხვევა რვა წლის განმავლობაში და კოქსმა ეს სიგნალად ჩათვალა, რომ სკაპა-ფლოუს ეპოპეა უნდა დაესრულებინა. მან გაყიდა სახაზო ხომალდი „ბაიერი“ მთელი აღჭურვილობა და ჯგუფი დაითხოვა. ჩაძირულმა გერმანულმა ფლოტმა იგი მილიონერად ვერ აქცია, მაგრამ სიკვდილამდე კოქსი იმ რვა წელს იხსენებდა, როგორც ყველაზე რომანტიკულ წლებს ცხოვრებაში.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# ძრწოდე მსოფლიოვ! ბაფომეტი, იგივე „თხა-კაცი“ იატაკქვეშეთიდან გამოდის!



**ბნელეთი უტევს ნათელს, მაგრამ ის არ დაკმაყოფილდება სანამ მთელს პლანეტას არ გახვევს თავის წკვარამში. დღეს ილუმინატური ელიტა ძალზედ გაბედულია, ისინი უკვე აღარც მალავენ, თუ რას გვიპირებენ მომავალში. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ატარებენ გლობალური საიდუმლო საზოგადოებები თავიანთ ბნელ რიტუალებს, მაგრამ როგორც ჩანს, უკვე შევედით იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოდიან იატაქვეშეთიდან და თავიანთ მიზნებს აღარ მალავენ**

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N27)

ყოველ ჩვენთაგანს ალბათ ოდესღაც შეუმჩნევია, რომ მოსდის ისეთი აზრები, რომლებიც მისი არ არის. ზოგჯერ ადამიანს შეიძლება წარმოექმნას სპონტანური იდეები, ან ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომელიც მისთვის არ არის დამახასიათებელი. როგორ უნდა ავხსნათ ეს? პროექტ „ბლუ ბიმის“ შემუშავების დროს, გამოიყენებოდა ტექნოლოგია, როდესაც ტელეპათიური, მიზანმიმართული კავშირი მყარდებოდა ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით. კომპიუტერულ სიგნალს, რომელიც კოსმიური თანამგზავრიდან გადმოიცემა, შეუძლია იმოქმედოს აზროვნების ბუნებრივ მექანიზმზე. ასეთ ტექნოლოგიებს ოფიციალურად ამუშავებდნენ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში (თუმცა, ასეთი ტექნოლოგია ცნობილი იყო და თეორიულად შემუშავებული იყო ჯერ კიდევ 1900 წლამდე) და გამოიყენებოდა გამოკვლევებში, რომლებიც დაკავშირებული იყო კომპიუტერისა და ადამიანის ტვინის ურთიერთქმედებასთან. სადღეისოდ თავისუფლად შეიძლება ვიყიდოთ მოწყობილობა, რომელიც გონების ძალით მართავს კომპიუტერს.

1991 წლის იანვარში არიზონას უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „ნატო, პერსპექტიული გამოკვლევები ბიომოლეკულარულ სისტემათა ახალი შესაძლებლობების სფეროში“. რას ნიშნავს ეს? ერთ ერთი მოხსენების კითხვისას, რომელიც წარდგენილი იყო კონფერენციაზე, გამოიტანეს მოწყობილობა, რომელსაც შეეძლო ყრუთათვის მიეწვდინა ხმები და მუსიკა, რომელსაც გამოსცემდა კომპიუტერი; ან კიდევ, მოწყობილობა, რომელსაც შეეძლო ტკივილის დაყუჩება წამლების გარეშე. ავტორების განცხადებით, „თეორიულად, ასეთი მოწყობილობით სარგებლობის შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი ხნიერი ასაკისა, შესაძლებლობა ექნება ახალგაზრდად იგრძნოს თავი“. თუმცა, ავტორები ამგვარ გამოკვლევათა საშიშროების შესახებაც აფრთხილებდნენ. კერძოდ, მათ განაცხადეს, რომ არიან ძალები, რომლებიც აიძულებენ მათ გამოკვლევები წარმართონ არა პირვანდელი, არამედ ადამიანთა



საზიანო მიმართულებით. გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ასეთი მოწყობილობები უკვე გააჩნიათ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს და გამოძიებათა ფედერალურ ბიუროს, „რომლებიც კლავენ, და არ კურნავენ თავიანთ ექსპერიმენტებში. მაგრამ ნებისმიერი მცდელობა ეს თემა განხილულ იქნას პრესაში ხვდება სასტიკ წინააღმდეგობას და ამ სისტემის ყველა მოწინააღმდეგეს ან კლავენ, ან კიდევ ქმნიან იმას, რასაც „მანჯურიელ კანდიდატს“ უწოდებენ. ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, რომ ასეთი ექსპერიმენტები ტარდებოდა ინგლისში, ავსტრალიაში, საფრანგეთში, გერმანიისა და ფინეთში. სახელმწიფო დაწესებულებები და კორპორაციები, ხელიხელ მუშაობენ მათთან ერთად და მზად არიან ყველაფერი გააკეთონ მიზნის მისაღწევად: დაამყარონ სოციალური კონტროლი“. რატომ? ძალიან მარტივია ამისი პასუხი, ჯერ ერთი, უმწეო მოსახლეობის დაშინება-დატერორების პირობებში უფრო ადვილია მისი განიარაღების მზაკვრული გეგმის განხორციელება. მეორე: ეს ხელს უწყობს ძველის ადგილზე ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას. ცხადია, რომ ასეთი ალტერნატივა მუშავდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და შესაძლოა ის უკვე იმყოფება სრულ მზადყოფნაში. ამ ალტერნატივის სახელწოდებაა - „ახალი მსოფლიო წესრიგი“. ელიტა ყოველთვის იყენებდა შიშს მასების სამართავად. ძველი ანდაზა „დაჰყავი და იბატონე“ ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში. ის, რაც დღეს ხდება დსთ-ს ქვეყნებიც, საკმარისია იმის დასტურად, რომ ადამიანებს ეშინიათ უსაფრთხოებისა და მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვის და ეს არის ცნობიერების მართვის ერთ ერთი ფორმა. ის, რაზეც ლაპარაკობდა სერჟ მონასტი 1994 წელს, სრულიად თავსდება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში. სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საბაბით შეიქმნა ტერორის გლობალური სისტემა - „ანტიტერორი“, აშშ-სა და ევროპის მოსახლეობის თვალთვალის გლობალური კონტროლი. მაგრამ ამჟამად ცნობიერების კონტროლი მოიცავს მექანიზმების უფრო ვრცელ სპექტრს, ვიდრე იმ დროს, როდესაც გამოკვლევებს აწარმოებდა სერჟ მონასტი.

აი, რას წერდა 1970 წელს ფსიქოლოგი ჟენევ მაკონელი-ი თავის სტატიაში: „ფსიქოლოგია დღეს“: „დღეს შეიძლება გავაერთიანოთ სენსორული დეპრივაცია, ნარკოტიკები, ჰიპნოზი და ცნობიერების მანიპულაცია, რათა თითქმის სრულიად გავაკონტროლოთ ბრბოს მოქმედება. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება სწრაფად და საკმარისად ეფექტურად. ტვინების ერთგვარ „ამორეცხვას“ პიროვნების მოქმედების ცვლილებებამდე მივყევართ. ამან შედეგად უნდა მოგვცეს საზოგადოების ახალი ფორმა. დაბადებიდანვე განსწავლულნი ვიქნებით იმაში ვაკეთოთ ის, რასაც საზოგადოება ითხოვს ჩვენგან. ჩვენ გვაქვს ტექნოლოგიები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ დღესვე შევუდგეთ ამ მიზნის განხორციელებას. არავინ იქნება თავისი პიროვნების მესაკუთრე; არავის ექნება შესაძლებლობა თქვას საწინააღმდეგო იმაზე, თუ როგორი პიროვნება შეიძლება ის დადგეს. ასე, რომ არ არსებობს არავითარი მორალური საფუძველი უარი ვუთხრათ ადამიანს შეიძინოს ახალი პიროვნება, თუკი მისი ძველი პიროვნება იყო ანტისოციალური“ „ბლუ ბიმ„-ის შემდგომი ნაბიჯი გახლავთ კონტროლის დაწესება მთელს დედამიწაზე, რაც რეალიზებული იქნება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში უცხოპლანეტელთა შემოჭრის მოდელირებით. მთელი ფსონი იდება იმაზე, რომ ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ბირთვული იარაღი არ გამოიყენებენ მათ საკუთარი თავის დასაცავად. ღირს ლაპარაკი იმაზედ, რომ უცხოპლანეტელთა ცივილიზაციების შეტევა მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქზე, როგორც ჩანს, პრაქტიკულად ჰოლივუდური ფილმებით არის თავსმოხვეული. ამ ფილმებში ამგვარი თავდასხმების შემდეგ მსოფლიოს ყველა დიდი სახელმწიფო: რუსეთი, აშშ, ჩინეთი და ასე შემდეგ, იწყებენ ურთიერთ თანამშრომლობას ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას თავდამსხმელთაგან დასაცავად, მაგრამ ყველა მათი ძალისხმევა უნაყოფოდ რჩება და როდესაც სიტუაცია ხდება კრიტიკული, უეცრად ჩნდება „მაცხოვარი“, „გადამრჩენელი“. ასეთი ფილმებით ადამიანის ცნობიერებაში, პრაქტიკუულად, ინერგება აზროვნების ხსენებული, სპეციფიკური მოდელი. ჩვენ უკვე მიგვაჩვიეს შიშსა და პანიკას უცხოპლანეტელთა და რაღაც იდუმალი მოვლენის ჩვენს სამყაროში შემოჭრის მიმართ. ჩვენ ბეჯითად გვამზადებენ დამარცხებისთვის „უცხოპლანეტელებთან“ მომავალ ბრძოლაში და გვამზადებენ კრიტიკული მდგომარეობიდან გამომყვანი გენიალური პიროვნების, გმირის, „მაცხოვრის“ მისაღებად, რომელსაც ძალუძს მარტომ გაანადგუროს უცხოპლანეტელთა





მთელი ურდოები. ეს არის ცნობიერების კონტროლის კიდევ ერთი ფორმა.

პლანეტის დაპყრობის წინმსწრობ ეტაპზე განადგურდება „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ოპოზიცია. ამისთვის ძირითადად გამოიყენებენ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც ზემოთ აღვწერეთ. სპეციალურად გენერირებულ ელექტრომაგნიტურ ტალღებს გადასცემენ ოპტიკურბოჭკოვანი არხებით, საკაბელო ტელევიზიით, სატელეფონო ხაზებით, რადიოთი და ასეშემდეგ. არ უნდა დავივიწყოთ რადიოსიხშირეობრივ საიდენტიფიკაციო ჩიპებიც, რომელთა ადამიანებში იმპლანტაციას უკვე ახორციელებენ. ნებისმიერი ელექტრო მოწყობილობა, რომელიც აწყობილია სიგნალების მიღებასა და გადაცემაზე იქნება ტრანსლიაციის ინსტრუმენტი. ამგვარად, ტელეპათიური ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. გადაცემული იქნება ინფორმაცია, რომელსაც შეეძლება გამოიწვიოს თვითმკვლელოვა, ძალადობა და ქაოსი.



როდის განახორციელებენ ისინი თავიანთ ბოროტ გეგმას? როგორც კი მათ მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი გათანგავს დედამიწის მთელ მოსახლეობას და გამოსწოვს მთელს მათ დანაზოგს. მაშინ დამკვიდრდება ელექტრონული გადახდის მსოფლიო სისტემა, რომელიც დაეფუძნება როდიოსიხშირული იდენტიფიკაციის ჩიპებს. მიზანი - ჩაინერგოს მოსახლეობაში სენსორები მათი ტოტალური კონტროლის მიზნით. სხვა დანარჩენი კი გეგმის მიხედვით... სამხედრო კონფლიქტები, ბუნებრივი კატაკლიზმები, თვითმკვლელობათა და მშფოთვარებათა ტალღები, ამას მიმატებული „უცხოპლანეტელების“ თავდასხმები... ამგვარი უბედურებების შემდეგ, კაცობრიობა უბრალოდ ვედრებას დაიწყებს რომ გამოჩნდეს ვინმე „მხსნელი“, რათა ნებისმიერი, თუნდაც თავგანწირვის გზით აღადგინოს მშვიდობა მთელს დედამიწაზე. სატანური რიტუალი რომელიც „შაბაშის„ სახელწოდებით იყო აქამდე ცნობილი და როგორც წესი 7 ივლისს ტარდებოდა რატომღაც გრანდიოზული სახით წელს პირველ ივნისს ჩაატარეს „საპატიო სტუმრების„თანდასწრებით და პირდაპირი ტრანსლიაციით. ვფიქრობ, სერიოზული გამოწვევაა...თუმცა აღნიშნულის შესახებ არაერთი წმინდა მამა თუ წინასწარმეტყველი საუკუნეების წინ ღაღადებდა, მაგრამ სამწუხაროდ ნოე 100წელი აშენებდა კიდობანს, ხალხი ამას ხედავდა და არ ჯეროდა მოახლოებული წარღვნის, დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ. დღესაც არ ჯერავთ ადამიანების უმეტესობას, რომ დრო იწურება...ლაქტანციუსი, ეკლესიის მოძღვარი (III-IV სს.): „როდესაც სამყაროს უკანასკნელი ჟამი მოახლოვდება, გაიზრდება ბოროტება, ყოველგვარი ვნება და ბოროტმოქმედება გახშირდება, გაქრება სამართლიანობა, რწმენა, მოწყალება, მშვიდობა და ჭეშმარიტება თვალთაგან მიეფარება. გახშირდებაკადნიერება და ძალადობა. დაიკარგება მშობელთა მიმართ პატივისცემა... იქნება კაცთა კვლა და სისხლისღვრა. იქნება ომი და ბრძოლა არა მარტო უცხო და მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის, არამედ შიდა ომებიც. სახელმწიფო ხელისუფლების ძალაუფლებას არავინ მიაგებს პატივს... ყველანი დაიწყებენ ძარცვას, ტაცებას და განადგურებას... მოკლედ რომ ვთქვათ, ცხოვრების ისეთი პირობები მოვა, რომ ცოცხალთ დაიტირებენ და მკვდრისა შეშურდებათ. განადგურდებიან ქალაქები - ზოგი ცეცხლით, ზოგი მახვილით, ზოგიერთი კი მიწისძვრებითა და წყალდიდობებით; ზოგს ეპიდემია მოსრავს, ზოგს კიდევ შიმშილი. ან უკიდურესი ყინვით, ან კიდევ უკიდურესი გვალვით, გაბერწდება დედამიწა და ნაყოფს არ გამოიღებს. წყლები გაიხრწნება და გამოსაყენებლად უვარგისი გახდება... და როდესაც ეს ყოველივე დაიწყებს აღსრულებას, უნდა ვიცოდეთ, რომ ახლოს იქნება უფლის მოსვლა, რომელიც შეცვლის სამყაროს“.

ზემოთ აღნიშნული წინასწარმეტყველება უკვე მოქმედებაშია ვფიქრობ, მხოლოდ იმით შეიძლება ვინუგეშოდ თავი, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია და ნაკლებად დავზარალდებით. ბნელის შემდგომ იქნება ნათელი!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი**.

**ტელ.**: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

— **შეიძლება თუ არა პენსიის დაყადაღება?**

— ყადაღა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, . მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფისშესახებ.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

რაც შეეხება პენსიას, ის მოძრავი ქონებაა. ხსენებული კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

თუ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულის შესაძლო ჩამდენთან, შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი

მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას.

ამავე კოდექსის 153-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება ყადაღა დაედოს პირისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარს და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს.

მე წარმოგიდგინეთ ყადაღის დადების როგორც სამოქალაქოსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი შემთხვევები. როგორც ხედავთ, აქ სიტყვა „ პენსია“ არსადაა ნახსენები.

აქედან გამომდინარე, არსებობს შესაძლებლობა, რომ ყადაღა დაედოს პენსიასაც.

* * *

— **სამი წლის წინ ჩემი შვილი განქორწინდა მეუღლესთან. ბავშვებს ნახულობს მხოლოდ მამამისისი. ყოფილი რძალი ჩვენ, ბებიას და პაპას, არ გვანახებს შვილიშვილებს. შეგვიძლია თუ არა, მოვითხოვოთ სასამართლო წესით შვილიშვილების ნახვა?**

— შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა თქვენ ამის უფლებას განიჭებთ. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპას და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე / მზრუნველი /უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე /მზრუნველი/ საშუალება მისცენ პაპას ან ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

* * *

— **შეიძლება თუ არა, სასამართლოს ჩარევის გარეშე შეეზღუდოს მშობელს გარკვეული უფლება?**

— ვინაიდან, კანონი ბავშვის ინტერესების დაცვას ანიჭებს ძალიან დიდი მნიშვნელობას, იგი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს, ე.წ. „ სანქციებს“ იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენასა და აღზრდაზე.

თუმცა, გახსოვდეთ: სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, შეზღუდოს მშობლის უფლება! მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ერთი ან რამდენიმე უფლების შეზღუდვა.

* * *

— **გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა და რა ფორმით?**

— შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.



# 30 ივლისს შეკვეთილის საკონცერტო დარბაზი „BLACK SEA ARENA“ გრანდიოზული კონცერტით გაიხსნება



30 ივლისს შეკვეთილის საკონცერტო დარბაზს, ბლექ სი არენას“ მსოფლიო დონის პოპ ვარსკვლავის **ქრისტინა აგილერას** შოუ-კონცერტი გახსნის.

კონცერზე დასწრების მსურველთა მოთხოვნით და რეგიონის მიმართ გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით საქართველოს რკინიგზამ მიიღო გადაწყვეტილება დაინიშნოს დამატებითი რეისი 30 ივლისს თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით.აღნიშნული ფაქტი საშუალებას მისცემს საზოგადოებას კონცერტის დღეს ესტუმროს შავი ზღვის სანაპიროს.

ბილეთების შეძენა შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

სპეც-რეისის განრიგი შემდეგია: „Black Sea Arena“-ზე კრისტინა აგილერას კონცერტზე დასწრების მსურველთათვის თბილისიდან დამატებითი (№856/855) მატარებელი დაინიშნა. 4 ვაგონიანი ელექტრომატარებელი ორივე მიმართულებით 300-300 მგზავრს გადაიყვანს.

მატარებელი თბილისის ცენტრალური ვაგზლიდან გავა:

**30 ივლისს 10:25, ურეკში ჩავა 14:51.**
**მატარებელი ურეკიდან გამოვა 31 ივლისს 02:00**
**ქ. თბილისში ჩამოვა 06:10.**
**აღნიშნულ მატარებლებს გაჩერებები**
**ქობულეთსა და ბათუმშიც ექნებათ.**







**13 აგვისტოს** საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი **„ერისიონი“** „ბლექ სი არენას“ სტუმრებისათვის კონცერტს გამართავს.



ISSN 2233-3983
9 772233 398001



**20 აგვისტოს** როკ ჯგუფი - **„სკორპიონსი“** ბლექ სი არენას სცენაზე დაუვიწყარ კონცერტს გამართავს. მათი მოღვაწეობის 50 წლისადმი მიძღვნილი, მსოფლიო ტურნე “Return to Forever” „ბლექ სი არენას“ სცენაზე პირველი როკ კონცერტი იქნება და ჯგუფის ყველა ჰიტი შესრულდება.